სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 30 მაისი 2005 №119 (2442) ფასი 50 თეთრი



დღეს ბოლო ტურია

ტორპედო ევროპას უყურებს, დინამო ჩემპიონობას

4



გიო ახვლედიანი
სტამბოლი – თბილისი

სტამბოლში დაკარგული

5



ოლ სტარმა დახურა

ვარსკვლავები ვერის ბაღში

12

ოციანების ოცნება ახდა!

ქართველმა ახალგაზრდებმა ევროპა მოიგეს

საქართველოს 20-წლამდელთა სარაგბო ნაკრები ევროპის ჩემპიონია! კვირას, 29 მაისს ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში „ბორჯღალოსნებმა“ ტურნირის აშკარა ფავორიტი, რუმინეთის ნაკრები 15:10 დაამარცხეს და შარშანდელ ვერცხლს წლევანდელი ოქრო მიამატეს. ასეა, წლეულს „მუხის ფოთლები“ დიდმა „ბორჯღალოსნებმაც“ დაჩაგრეს და პატარებმაც. მატჩის გმირი კი ირაკლი ყიასაშვილია (ფოტოზე). კარპატელებს მისმა საჯარიმო დარტყმებმა მოუღო ბოლო.

თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან



...3-5-2 უკეთესად ადგება საქართველოს ნაკრებს. 4-4-2-ით კი ბევრ პრობლემას ვხვდებით, იმიტომ, რომ გვაკლია ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ამ სისტემით თამაშისთვისაა საჭირო...

...მიშელ პლატინის და მერაბ ჟორდანიას მჭიდრო კონტაქტი რომ არა, შესაძლოა, დღეს აქ არ ვყოფილიყავი. პლატინიმ დამაინტერესა და გადავწყვიტე, საქართველოს ნაკრებში მემუშავა...

...არც ნელი და ტექნიკური თამაში მომწონს, არც სწრაფი და ტაქტიკური. მე მიყვარს ფეხბურთი, სადაც ბურთი ფეხბურთელებზე სწრაფად მოძრაობს, სადაც აზროვნებაა...

...მართალია, მე იძულებული არ ვარ, საქართველოს ჰიმნი ვისწავლო, მაგრამ მსიამოვნებს და ვმღერი. ეს ჩემი გულიდან მოდის, თანაც სიტყვები ვისწავლე. მუსიკალური განათლება კი არ მაქვს...

თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან



ვისაც სურდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი უფრო ახლოს გაეცნო, ინებეთ — „თქვენი ინტერვიუ“ თქვენ წინაშეა.
მუსიე ჟირესის მიმართ, იცოცხლეთ, ბლომად კითხვა მოგვივიდა. საფრანგეთის 80-იანი წლების რომანტიკული ნაკრების ექსვარსკვლავიც ზოგჯერ სიბრაზეს, ზოგჯერაც ჩვეულ იუმორს ურთავდა პასუხებს და ინტერვიუც ასეთი გამოვიდა...

მამუკა მენაბდე
26 წლის, ხონი

— ქართულ ენას რამდენად კარგად ფლობთ?

— ნელ-ნელა ვსწავლობ. რაც საჭიროა, ის სიტყვები ვიცი — გამარჯობა, ნახვამდის, მორჩა, პასი, მარჯვნივ, მარცხნივ... თვლაც ვიცი ათამდე.

— ახლა რომ იწყებდეთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას, რას შეცვლიდით?

— როცა მწვრთნელი ინიშნება, ბუნებრივია, თავისი მიზნები აქვს. უკვე დავკარგეთ 2006 წლის მუნდიალზე გასვლის შანსი, მაგრამ წინ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატია. ახლა საგაისო ციკლისთვის უნდა ვაწარმოოთ სელექცია.

— ბრაზილიის ნაკრების გარდა 3-5-2 სისტემით მსოფლიოში, მგონი, აღარავინ თამაშობს. რამდენჯერ უნდა გავიდეს საქართველო ჯგუფში ბოლო ადგილზე, რათა ეს სისტემა შეიცვალოს?

— 3-5-2 უკეთესად ადგება საქართველოს ნაკრებს. 4-4-2-ით კი ბევრ პრობლემას ვხვდებით, იმიტომ, რომ გვაკლია ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ამ სისტემით თამაშისთვისაა საჭირო.

იური გელოვანი
70 წლის, სამტრედია

— თუ აპირებთ საქართველოს ისტორიის გაცნობას და თუ იყენებთ ამ ცოდნას ნაკრების ფეხბურთელებთან მუშაობისას?

— ცოტა უაზრო კითხვაა. ფეხბურთელმა ისედაც უნდა დაიცვას თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსება — მათთვის ესაა საამაყო. წარსულზე კი არა, აწმყოზე და მომავალზე უნდა ვიფიქროთ.

— ქართველი ფეხბურთელები ფიზიკურად სუსტები არიან, რაც მათ სწრაფ თამაშში უშლით ხელს. თუ აკეთებთ რამეს ამის გამოსასწორებლად?

— ფიზიკურ კონდიციებზე ყოველდღე უნდა იმუშაო. მე კლუბის მწვრთნელი არ ვარ, ნაკრების მოთამაშეები თამაშისას მხოლოდ 4 დღით არიან ჩვენთან.

— საჭიროა თუ არა ნაკრებში ფსიქოლოგი?

— შეიძლება გამოდგეს, მაგრამ ფსიქოლოგი კლუბისთვის უფრო საჭიროა, ვიდრე ნაკრებისთვის. ვიმეორებ, ნაკრებში რამდენიმე დღით მუშაობ ფეხბურთელებთან, კლუბში კი რეგულარულად. თანაც კლუბი ბიზნესია კარგი გაგებით, ეროვნულ ნაკრებში კი ფეხბურთელები ფულის გამო არ ჩამოდიან.

ვალერი ხალხელაური
18 წლის, თბილისი

— რატომ არ გყავთ ნაკრებში სრულფასოვანი სამწვრთნელო შტაბი და ყველა საქმეს თქვენ და გია გურული რატომ ითავსებთ?

— რას ჰქვია, სამწვრთნელო შტაბი არ გვყავს?! ჩემი და გურულის გარდა ნაკრებში მეკარეთა მწვრთნელი ოთარ გაბელია და ფიზმომზადების მწვრთნელი ავთო ბერიძე მუშაობენ. გარდა ამისა, სამედიცინო შტაბიც დაკომპლექტებულია.

გიორგი რატიანი

— რა არის საქართველოს ნაკრების წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი და რომელი რგოლია ყველაზე სუსტი?

— პირველ რიგში, ნაკრების სიძლიერე ეროვნული ჩემპიონატის სიძლიერით არის განპირობებული. თუმცა შეიძლება შედეგის მიღწევა, რადგან ქართველი ფეხბურთელები უცხოეთში თამაშობენ, თანაც ისეთ დონეზე, რომ პროგრესი კიდევ შეუძლიათ. სუსტი რგოლი? არის ისეთი პოზიციები, უკეთესის სურვილს რომ მიტოვებს. მაგალითად, სამი მარცხენა მცველი თუ გყავს და გამთამაშებლად ერთი კაციც არ ჩანს, ეს ცუდია.

ვალერიან თორდია
58 წლის, თბილისი

— რა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც საქართველოს ნაკრების გაწვრთნას დათანხმდით?

— მიშელ პლატინის და მერაბ ჟორდანიას მჭიდრო კონტაქტი რომ არა, შესაძლოა, დღეს აქ არ ვყოფილიყავი. პლატინიმ დამაინტერესა და გადავწყვიტე, საქართველოს ნაკრებში მემუშავა.

— გულახდილად გვითხარით: საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა პროფესიული დონე საკმარისია იმისთვის, რომ მოკლე ხანში ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდეთ?

— დღესდღეობით ჩვენ არცთუ ძლიერები ვართ, მაგრამ მომავალში ყველაფერი შესაძლებელია. ნელ-ნელა უნდა მივუახლოვდეთ მეოთხე, მერე მესამე, მერე მეორე ადგილს... თანაც გააჩნია, როგორი მეტოქეები შეგვხვდება.

— როგორ ფიქრობთ, რა შანსი აქვს იმ ნაკრებს, რომლის მწვრთნელი და მწვრთნელის თანაშემწე მხოლოდ სანაკრებო მატჩების წინ ჩამოდიან საქართველოში? არაფერი კეთდება ლეგიონერების მომზადების და მეტოქეების შესასწავლად, რაც ბოლო თამაშებშიც გამოჩნდა.

— ჩვენ ვაკვირდებით ლეგიონერებს, ვარჩევთ მათ თამაშს, ვკამათობთ. ფიზიკურად საშუალება არ გვაქვს, ყველა მათგანი ერთად ვნახოთ საქმეში. გვყავს ხალხი, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციებს ლეგიონერებზე, ტელეფონითაც ვესაუბრებით მოთამაშეებს. მეტოქეების შესასწავლად ობსერვატორები გვყავს, რეპორტაჟს აკეთებენ და კასეტის, ასევე კომპიუტერის მეშვეობით ვარჩევთ ყველაფერს. საინტერესოა, ასეთი აზრი პირველი ოთხი შესარჩევ თამაშის მერე რატომ არ გაგიჩნდათ? როგორ, მაშინ ვაკვირდებოდით მეტოქეებს და მერე თავი მივანებეთ?

კოტე ლაითაძე
28 წლის, თბილისი

— ბატონო ჟირეს, თქვენს კომპეტენციაში არ ვერევი, მაგრამ იქნებ გვითხრათ, რატომ იწვევთ ნაკრებში მუდმივად კახა მჟავანაძეს, რომელიც სულ ძირითადში გყავთ და მარჯვენა ფლანგს აბარებთ? აშკარაა, მჟავანაძე არაა ისეთი სტილის ფეხბურთელი, ფლანგი აკონტროლოს, ანუ შეტევაშიც ჩაერთოს და უკანაც მოასწროს ჩასვლა. თუ მის ადგილზე არავინ გვყავს, ესეც გვითხარით...

— ყველას თავისი შეხედულება აქვს. მჟავანაძე ბოლო ორ თამაშში გააკრიტიკეს, მაგრამ მას ისეთი ცუდი არაფერი გაუკეთებია — სხვებმა უარესად ითამაშეს. წინა ოთხი მატჩის შემდეგ კი მჟავანაძეზე ხმა არავის ამოუღია.

გიორგი გველესიანი
14 წლის, თბილისი

— როგორ ფეხბურთს ანიჭებთ უპირატესობას: ნელ და ტექნიკურს, თუ სწრაფ, მებრძოლს და ტაქტიკურს?

— არც ნელი და ტექნიკური მომწონს, არც სწრაფი და ტაქტიკური. მე მიყვარს ფეხბურთი, სადაც ბურთი ფეხბურთელებზე სწრაფად მოძრაობს, სადაც აზროვნებაა.

— აპირებთ ნაკრების თამაშის სტილის შეცვლას?

— უფრო ხარისხიანი უნდა გავხადო საქართველოს ნაკრები.

— რა იყო საბერძნეთთან და თურქეთთან წაგების მიზეზი?

— ბერძნებთან ორმა წუთმა წაგვაგებინა. შეიძლებოდა, მათგან სამი გოლი არ გაგვეშვა. ამ დამარცხების შემდეგ მორალურად გავტყდით და თურქეთთანაც უფრო ამიტომ წავაგეთ.

დავით ცხომელიძე
51 წლის, თბილისი

— ტელევიზორში საქართველოს ჰიმნი კარგად წაიმღერეთ. რაიმე მუსიკალური განათლება ხომ არ გაქვთ?

— მართალია, მე იძულებული არ ვარ, საქართველოს ჰიმნი ვისწავლო, მაგრამ მსიამოვნებს და ვმღერი. ეს ჩემი გულიდან მოდის, თანაც სიტყვები ვისწავლე. მუსიკალური განათლება კი არ მაქვს.

— თურქეთთან აკაკი დევაძემ მძიმე ტრავმა რომ მიიღო, იმ მომენტში უნდა გამოსულიყო კარიდან თუ არა?

— ეს შეჯახება მცველისა და მეკარის შეუთანხმებლობას მოჰყვა. თუ დევაძე გამოვიდოდა, ამისულაშვილი უნდა გაწეულიყო გვერდით, თუ არადა, მცველს უნდა მოეგერიებინა ბურთი.

— ბოლო დროს ფრანგი მწვრთნელები ევროპაში დომინირებენ. ამის მიზეზი ცოდნასთან ერთად თქვენი გამორჩეული კომუნიკაბელურობაცაა?

— საფრანგეთში მწვრთნელობა განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა. ძალიან ძნელია, საფრანგეთში უდიდესი შრომის გარეშე მწვრთნელი გახდე. ჩემს სამშობლოში ბავშვია ფეხბურთიდან დაწყებული, ყველაფერს მუხლჩაუხრელად მუშაობენ. ისე, საბოლოო ჯამში, მოავარი როლი მაინც ფეხბურთელებს ეკისრებათ.

— გოგიტა გოგუას ნაკრებში მიწვევა სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. კიდევ ხომ არ აპირებთ მსგავსი სიურპრიზის გაკეთებას?

— ნაკრების კარი ყველასათვის ღიაა, ოღონდ ამას უნდა იმსახურებდე. გოგუამდე იყო ჯაბა კანკავა და თუ იგი ძველ ფორმას დაიბრუნებს, ნაკრებში ისევ მოხვდება. სამწუხაროდ, დღეს უკვე პრობლემას ვაწყდებით გოგუას გამო, რადგან იგი თავის კლუბში იშვიათად თამაშობს. არადა, გოგიტა ისეთ ასაკშია, პრაქტიკა ძალიან სჭირდება. მორიგი სიურპრიზი? ცუდია, რომ საქართველოში უცებ იცვლის ფეხბურთელის ქება-განდიდება. ახალგაზრდა მოთამაშის გამოძახება ძნელი არაა, მაგრამ მან თავისი დონე უნდა შეინარჩუნოს ან მოუმატოს.

— თანამედროვე ფეხბურთის განვითარებაზე რას იტყვით და რო-





ბაბრი კუბილაძის ფოტოები

გორ შეადარებთ მას ადრეული წლების ფეხბურთს?

— რაც დღეს თანამედროვეა, ხვალ შესაძლოა, მოძველდეს, რადგან ფეხბურთი ყოველდღე ვითარდება. იგივე „აიაქსი" და ტოტალური ფეხბურთი გავიხსენოთ. ფეხბურთელებს დღითი დღე უძნელდებათ ვარჯიში — თამაში დიდ დატვირთვებს მოითხოვს. მოკლედ, ფეხბურთი დიდი ბიზნესი გახდა.

— საქართველოს ჩემპიონატში რომელი მოთამაშეები მოგწონთ?

— დასახელებას არ დავიწყებ, მაგრამ საინტერესო ახალგაზრდები მოდიან. ახალგაზრდების ფსიქოლოგია ვიცი, ისინი ზედმეტად არ უნდა შეაქო, ამიტომაც გვარებზე თავს შევიკავებ. ისე, საქართველოს ჩემპიონატში კლუბებს შორის დონით დიდი განსხვავებაა.

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის დარჩენილ მატჩებში ღირსეულად თამაში?

— პირველ რიგში, უნდა შეიქმნას ის ღერძი, რომელზეც შეიქმნება ახალი გუნდი.

— კლოდ სორელი ის ფრანგი მწვრთნელია, რომელმაც საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასზე გაიყვანა. თუ იცნობთ სორელს და ფეხბურთის გარდა სპორტის რომელი სახეობები მოგწონთ?

— სორელს ძალიან კარგად ვიცნობ. რაც შეეხება სახეობებს, რაგბი საფრანგეთში პოპულარობით მხოლოდ ფეხბურთს ჩამორჩება და მიყვარს ეს თამაში, თუმცა რას ვამბობ... თამაში კი არა, ყურება მიყვარს. კოლექტიური სახეობები მიზიდავს, მასში უფრო მეტი სილამაზეა, თუმცა ჩოგბურთი, გოლფი და მძლეოსნობაც კარგია.

— თქვენ მოედანზე პრინციპულობით გამოირჩეოდით. რა არის თქვენი ცხოვრების პრინციპი?

— იდეურად არასოდეს შევცვლილვარ. პატივს ვცემ ადამიანს, რომელიც გაუგებს სხვას. ვიცავ ჩემს მეობას.

— დიდი გუნდის შესაქმნელად დრო. კია საჭირო, მაგრამ მაინც როგორ აპირებთ ნაკრების არასტაბილურობის დაძლევას?

— გუნდს უნდა ჰქონდეს საძირკველი და მას უნდა დაეყრდნო. მერე ზოგი ფეხბურთელი წავა, ზოგი მოვა, გუნდის სახე კი უნდა დარჩეს.

— ტოტალიზატორმა გულშემატკივრები ლამის პროფესორები გახადა. ფეხბურთელები და მწვრთნელები თუ თამაშობენ ტოტალიზატორში?

— საფრანგეთში არც კი ვიცით, რა არის ტოტალიზატორი, ჩვენს მენტალიტეტში ეს თამაში არ ზის. ტოტალიზატორით არასოდეს დავინტერესებულვარ.

— ძალიან მშურს ინგლისელი ფანების. თქვენი აზრით, საერთოდ რა როლი ენიჭებათ ქომაგებს ფეხბურთში?

— ინგლისელები მართლაც უძლიერესები არიან ამ საქმეში. გულშემატკივარმა გუნდი უნდა დარაზმოს, შეაგულიანოს. არ მომწონს აგრესიული ქომაგები და კიდევ ისეთები, მარტო მოგების დროს რომ უკრავენ ტაშს, წაგებისას კი ყველაფერს ივიწყებენ.

მურმან დოლიაშვილი

53 წლის, თბილისი

— საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები უბურთოდ თამაშში მოიკოჭლებენ და დაზღვევასაც აგვიანებენ. რატომ?

— სამწუხაროდ, ქართველებს უბურთოდ თამაში არ უყვართ. ამ კომპონენტის გარეშე კი ძლიერი ნაკრების დამარცხება ძნელია. რაც შეეხება დაზღვევაზე თამაშს, ეს მარტო საქართველოს კი არა, ბევრ უფრო სახელიან ნაკრებსაც ეშლება.

— რატომ თამაშობს ნაკრები არაეფექტურად ფლანგებზე?

— ამ კითხვაზე, მგონი, უკვე ვუპასუხე.

— რატომ ვერ ასრულებენ ქართველები სტანდარტულებს კარგად?

— ღმერთო ჩემო, თურქეთთან სტანდარტულიდან გავიტანეთ გოლი სტამბოლშიც და თბილისშიც, ერთხელ ძელსაც გავარტყით ბურთი და რამდენჯერმე სახიფათო მომენტი შევქმენით. მიშელ პლატინის დონის ჯარიმის დამრტყმელები ჩვენთან კი არა, მთლიანად თანამედროვე ფეხბურთში იშვიათად არიან. ისე, როცა ჩვენ ვასრულებთ სტანდარტულებს, მაშინ უკეთესები ვართ, მეტოქის სტანდარტულებისას კი მოვიკოჭლებთ.

კოკა მაჩიტიძე

22 წლის, ქუთაისი

— ზვიად სტურუას თუ მისცემთ შანსს?

— ჩვენ იგი გამოვიძახეთ ნაკრებში, ახლა კი ვარჯიშებზე შევხედავთ.

— ქართველი ფეხბურთელები რატომ ურტყამენ იშვიათად კარში 20-25 მეტრიდან?

— ევრო 2004-ზე გატანილი 77 გოლიდან მხოლოდ 9 გავიდა ამ დისტანციიდან — ასეთია სტატისტიკა. ამ მხრივ პრეტენზიები არა მაქვს. 20-25 მეტრიდან რომ არ დაგვერტყა, ბერძნებთან გოლს ვერ გავიტანდით.

უშანგი რუხაძე

— ნაკრებში არის ისეთი პოზიცია, სადაც ღირსეული კანდიდატი არ გვყავს?

— ამ კითხვაზე უკვე ვუპასუხე: არის რამდენიმე ისეთი პოზიცია, რომელიც უკეთესის სურვილს მიტოვებს.

— დღემდე ექვს ოფიციალურ შეხვედრაში ათამაშეთ კახა მჟავანაძე, რომელიც, ჩემი აზრით, არ აკმაყოფილებს სანაკრებო მოთხოვნებს. თქვენ თვლით, რომ მჟავანაძე ღირსეული კანდიდატია?

— ეს კითხვაც იყო.

— საქართველოს ჩემპიონატიდან წლეულს ბევრი ფეხბურთელი წავიდა აზერბაიჯანში, რუსეთის ქვედა ლიგაში და ასე შემდეგ. როგორ გგონიათ, მათ კარიერა ამოძრავებთ თუ ფულის შოვნის პერსპექტივა?

— როგორ გითხრათ, ალბათ, ამ ფეხბურთელებს უკეთესი პირობები სურთ, თუმც ზოგიერთები მხოლოდ ფულის გამოც იღებენ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. მე მათი მესმის, რადგან ფინანსები მეორეხარისხოვანი თემა არაა. ისე კი, სჯობს, დაიცადონ ერთი-ორი წელი — ვინ იცის, უკეთეს კლუბში და უკეთეს პირობებში მოხვდნენ.

— რომელი ფეხბურთელები არიან ნაკრებში ხელშეუხებელნი?

— ასეთი არავინაა.

— თქვენ ხშირად აკვირდებით ფეხბურთელებს, მაგრამ ნაკრებში მაინც ერთი და იგივე სახეები ხვდებიან. ახლო მომავალში მუჯირს, გახოკიძეს და სილაგაძეს თუ მისცემთ შანსს?

— როდესაც ფეხბურთელი მოგეწონება, მისი ოსტატობა ნაკრების წევრებისას უნდა შეადარო და ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება. ყველა ფეხბურთელს ვერ გამოვიძახებ. ვფიქრობ, ალბანეთთან გამოხაძებული შემადგენლობა საუკეთესოა, თუ არ ჩავთვლით ტრავმებსა და დისკვალიფიკაციას.

— მალხაზ ასათიანი რუსული პრემიერლიგის საუკეთესო ცენტრალურ მცველად აღიარეს და იქნებ ჯობდეს, ნაკრებშიც ამ პოზიციაზე ათამაშოთ, გაბოძაშვილი კი საერთოდ მოხსნათ, რადგან ნაკრები ერთი კაცის გუნება-განწყობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული...

— ასათიანს ადრეც უთამაშია შემტევ ნახევარმცველად და ახლაც არ ვცდები არჩევანში. თანაც ფეხბურთის ცენტრში მყავს მოთამაშე, ეს გუნება-განწყობისა რა კითხვაა, ასათიანს თამაშში გარდაუვალი შტტანა შეუძლია. მინდა ვიფიქრო, რომ სხვა ფეხბურთელები ძალიან ცუდ არიან დამოკიდებულნი.

— საქართველოს ნაკრებს ბევრი ამხანაგური მატჩის გამართვა სჭირდება. თუ მუშაობთ ამ საკითხზე? და კიდევ, უმეტესად ხუსტ ნაკრებებს ვხვდებით, არადა, ძლიერი გუნდთთან შეხვედრა უფრო ბევრს დაგანახებთ...

— ამხანაგური მატჩების რა სჭირდებათ, მაგრამ უეცარ მიერ გამოცხადებულ დღეებში არ გიჭალია. ახლახან ბელორუსთან გვქონდა, მაგრამ ეს ეს თამაშში? ლეგიონერებს ეროვნულ გამოძახებულის გარდა, კლუბში ან გა მოუშვებენენ. ისე, მაგალითად, ნორვეგიელ ამხანაგურ მატჩში ... ბაში, ვინც თავად უნდა. ... ლო კი ... ეს, ... ?

— როგორ მუსიკას უსმენთ?

— თანამედროვე ფორმატის. ... ელსაც საქართველოში ... ის არ უსმენენ.

— საქართველოსა და საფრანგეთის გარდა რომელ ნაკრებს ქომაგობთ?

— ბრაზილიას. კლუბებიდან კი „ბარსელონას".

ბაბრი კუბილაძის ფოტო

მურმან დოლიაშვილის ფოტო



საქართველოს უმაღლესი ლიგა — 16 ჩემპიონატი — 36 ტური

მეოთხე წრე

ძუთაისი. 30 მაისი. 17 საათი. ტორპედო

ტორპედო — თბილისი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. სილაგავა (თბილისი); ინსპექტორი: მ. ჭელიძე

თბილისი. 30 მაისი. 17 საათი. მიხეილ მესხი

ლოკომოტივი — დილა

მსაჯები: ი. კახიანი; დ. ხარიტონაშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. 30 მაისი. 17 საათი. ერეკვნული

დინამო — ბათუმი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); ინსპექტორი: ვ. ბარქაია

ფოთი. 30 მაისი. 17 საათი. ფაზისი

კოლხეთი — სიონი

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

გორი. 30 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე



კახა ცხადაძე

გაფდრი კეთილაძის ფოტო

გაცივდა ყველაფერი

ტორპედო ევროპას უყურებს, დინამო ჩამპიონობას

ტურის ერთადერთი ცხელი მატჩი ქუთაისშია: „ტორპედო" „თბილისს" მასპინძლობს და შეეცდება, უეფას თასის საგზური არ გაატანოს. საამისოდ რიონისპირელებს ფრეც აძლევთ ხელს, მაგრამ „თბილისი" მათთვის არცოუ ხელსაყრელი მეტოქეა — ამ სეზონში, ოღონდ თასზე, დედაქალაქელებმა უკვე გაამწარეს ოთარ გაბელიას გუნდი, როცა მეოთხედფინალიდან გააგდეს.

მაგრამ „ტორპედოს" ახლა ლიცენზიაც აქვს და მეორე ადგილზე თუ გავიდა, ევროპაში თამაშს ვერაკინ აუკრძალავს. ეგ არის, ქუთაურების მომავალია ბუნდოვანი — კლუბში ყველაფერი იდეალურად ვერ არის, ფეხბურთელებსაც ოვალი გაქცევაზე უჭირავთ და, სავარაუდოდ, სეზონის დასრულებისთანავე მათი უმეტესობა სხვა გუნდში გადასვლას ეცდება.

მოკლედ, „ტორპედო" — „თბილისი" კარგი ჯახი უნდა იყოს და... კომედია ის იქნება, „ტორპედომ" რომ ვერ მოიგოს და იმავდროულად თბილისში „დინამომ" ვერ წაიქციოს „ბათუმი". რატომ? იმიტომ, რომ „დინამოს" და „ტორპედოს" შორის სხვაობა ორი ქულაა და ყველაზე ტკბილ ოცნებებში ქუთაურები შესაძლოა ჩემპიონობაზეც კი ფიქრობდნენ, თუმც ეს რამდენად რეალურია, ალბათ იოლი მისახვედია — კახა ცხადაძის გუნდს მოდუნებისა არაფერი ეტყობა და, დარწმუნებული ვართ, „ბათუმსაც" გადაურბენენ, მით უმეტეს, აჭარელები ბოლო ტურს მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებენ — უმაღლეს ლიგაში დარჩენა უკვე გაინაღდეს და მეშვიდე ადგილზე გავლენ თუ მერვეზე, მათთვის ალბათ დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

მოვალეობის მოხდა ვახსენეთ და, ასეთი კიდევ ექვსი გუნდია: „ლოკომოტივი" — „დილა", „კოლხეთი" — „სიონი" და „ზესტაფონი" — „ვიტ ჯორჯია" რა ბედენაც უნდა იყოს, ალბათ ხვდებით. ამ ექვსივე გუნდს ჩემპიონატში გასარკვევ-გადასაწყვეტი არაფერი დარჩენია და ფეხბურთელები თავსაც რატომ მოიკლავენ?!

ასე რომ, ბოლო, 36-ე ტური ორ ამბავსლა მოგვახსენებს: „დინამოს" ჩემპიონობას და „ტორპედო" — „თბილისს" შორის მოგებულს...

კახა შალამბერიძე

დინამო	35	22	6	7	70:27	72
ტორპედო	35	20	10	5	56:28	70
თბილისი	35	21	6	8	60:37	69
ლოკომოტივი	35	16	14	5	41:23	62
ზესტაფონი	35	16	5	14	37:45	53
ვიტ ჯორჯია	35	12	9	14	51:40	45
ბათუმი	35	9	12	14	35:30	39
სიონი	35	11	4	20	32:57	37
კოლხეთი	35	9	5	21	32:59	32
დილა	35	2	3	30	20:88	9

„ტორპედო" — „თბილისი" ბოლო ტურში ის იშვიათი მატჩია, ინტრიგა რომ შეინარჩუნა

გაფდრი კეთილაძის ფოტო

აშვეთია ჩამოვიდა, მაგრამ წავა?

მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი ფეხბურთელები — მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია — გუშინ ჩამოვიდნენ საქართველოში. მოგეხსენებათ, ისინი ალენ ჟირესმა ალბანეთთან სათამაშოდ გამოიძახა ნაკრებში, თუმც აშვეთიას თამაში სათუოა. მან ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი იტკინა და უკვე ორი ტურია, „ლოკომოტივს" ვერ ეხმარება.

აშვეთიამ სანაკრებო შეკრებაზე ჩამოსვლა მაინც გადაწყვიტა, აქაურ ექიმებსაც გაესინჯება და თუ მათ თამაშის ნება დართეს, ტირანაშიც გაჰყვება გუნდს, მაგრამ, როგორც გითხარით, საეჭვოა, ასე მოხდეს.

გაფდრი კეთილაძის ფოტო

კახა შალამბერიძე

გოგობერიშვილი თასიანია

28 მაისს აზერბაიჯანის თასის ფინალი გაიმართა, სადაც ალეკო გოგობერიშვილისა და მერაბ ძოძუაშვილის „ბაკიმ" დამატებით დროში 2:1 მოუგო „ინტერს". გოგობერიშვილმა მატჩი სრულად ჩააატარა, მაგრამ გატანილ გოლებში მონაწილეობა არ მიუღია, ძოძუაშვილი კი განაცხადს მიღმა დარჩა. „ბაკის" ბრაზილიურმა გოლებმა მოაგებინა: მე-5 წუთზე ლეანდრო გომეშმა გაიტანა, 115-ზე კი ანდრე დადაგამ შეაგდო გამარჯვებისა.

„ბაკი" უეფას თასზე ითამაშებს, თუმცა დარჩებიან თუ არა ქაროველები ამ გუნდში, ჯერ უცნობია. და კიდევ: ფინალის დაწყებამდე ერთგვარი შოუ მოეწყო, რომელშიც ბაქოს „ნეფთჩისა" და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების ვეტერანმა ფეხბურთელებმა გაიხსენეს ახალგაზრდობა — „საბჭოეთის" გუნდში ალექსანდრე ჩივაძემ, ოენგიზ სულაქველიძემ და რამაზ შენგელიამ ითამაშეს.

წლის მთავარი მატჩი კი აზერბაიჯანში სამ დღეში იქნება: ჩემპიონატში გიორგი ადამია-ვალერი აბრამიძის „ნეფთჩიმ" და ლენქორანის „ხაზარმა" თანაბარი ქულები დააგროვეს და „ოქროს მატჩში" გაინაწილებენ ოქრო-ვერცხლს.

ილია ნანობაშვილი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ჩვენი მეტოქე

თურქი მეზობლისთვის ემზადება

თურქეთის ნაკრები 4 ივნისს სტამბოლში ოტო რეჰაგელის საბერძნეთს უმასპინძლებს და ეს მატჩი მეორე შესარჩევ ჯგუფში ერთ-ერთი გადამწყვეტიც შეიძლება აღმოჩნდეს. ოსმალონი მესამე ადგილზე არიან, ორი ქულით ჩამორჩებიან მეორეადგილოსან ბერძნებს და ხუთით — ლიდერ უკრაინელებს. 8 ივნისს ერსუნ იანალის სამწყსო ჯგუფის მაჩანჩალა ყაზახებს ესტუმრება და რა გასაკვირია, რომ თურქები მოახლოებულ ორ თამაშში ექვს ქულას გეგმავენ.

იანალმა ამ მატჩებისთვის 25-კაციანი სია გამოაცხადა, რომელშიც ორი დებიუტანტია — „ტრაბზონის" 26 წლის მცველი იავუზი ერდინჩი და „დენიზლის" 23 წლის ნახევარმცველი გიუვენ ვაროლი.

მეკარეები: *რუშთუ რეჩბერი, ვოლქან დემირელი (ორივე ფენერბაჰჩე), ომერ ჩატკინი (გაზიანთეფი);*

მცველები: *უმით ოზატი, სერქან ბალჩი (ორივე ფენერბაჰჩე), ტოლგა სეიჰანი, ჰუსეინ ჩიმშირი, იავუზი ერდინჩი (სამივე ტრაბზონი), ბიულენთ ქორქმაზი, აიჰან აქმანი (ორივე გალათასარაი), იბრაჰიმ ტორამანი (ბეშიქთაში);*

ნახევარმცველები: *ემრე ბელოზოღლუ (ინტერი, იტალია), გიოქდენიზ კარადენიზი (ტრაბზონი), ოქან ბურუქჩი, კორაი ავჩი (ორივე ბეშიქთაში), გიუვენ ვაროლი (დენიზლი), ილდირაი ბაშთურქი (ჰერტა, გერმანია), ჰამით ალტინტოპი (შალკე, გერმანია), ჯიჰან ჰასფოლათი (გალათასარაი), თუნჯაი შანლი (ფენერბაჰჩე);*

თავდამსხმელები: *ფათიჰ ტეკე (ტრაბზონი), ჰალილ ალტინტოპი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ნეჯატი ატეში (გალათასარაი), სერჰათ აკინი (ფენერბაჰჩე).*

ილია ნანობაშვილი



გიო ახვლედიანი
სტამბოლი – თბილისი

სტამბოლში დაკარგული

არ ვიცი, რამდენად იტალიურად ჟღერს სიტყვა „სარბიელი“, მაგრამ ისე კი გამოვიდა, რომ უეფას ორგკომიტეტში ჩვენი გაზეთი იტალიური ეგონათ.

ნამდვილად ასე იყო, რადგან ოლიმპიათსთადის დამწერთა სექტორში „სარბიელი“ ეწერა მაგიდას „ლა რეპუბლიკასა“ და „გაძეტა დელო სპორტს“ შორის.

ასე რომ, იტალიელ ჟურნალისტებს შორის მოვხვდი და გახსნის ცერემონიალისკენ თვალიც ვერ გავაპარე, ვინაიდან კალაძის თაობაზე ვლაპარაკობდით. უფრო სწორად, ვყვიროდით, რადგან იქ ლაპარაკი შეუძლებელია.

საერთოდ კიდევ, ქართველი ჟურნალისტებისგან განსხვავებით, იტალიელები თავიანთ გუნდებს პრესცენტრის მაგიდიდან არ ქომაგობდნენ. გასაგებიცაა, „მილანი“ ეგებ არც არის იმათი საყვარელი გუნდი, მაგრამ მათ შორის იყო ერთი, ყველაზე ხალისიანი და მხიარული, რომელიც ნოუთბუქს არ იყო მიჯაჭვული და ამ გასაგიჟებელ თამაშს უფრო გულშემატკივრის თვალით უყურებდა. ეჭვი არ არის, რომ ის იყო „ინტერნაციონალეს“ გულშემატკივარი. იოლად დაატყო, რომ პირველი ტაიმის შემდეგ სრულიად წაგებული კაცის იერი მქონდა და თავის სევდას შეძლებისდაგვარად გამოხატავდა.

ის ლამის ერთადერთი იყო ახლომახლო მწერლებს შორის, დაჯერებით რომ გამოაცხადა, შევჩენკოს გოლი ნამდვილი თამაშგარე იყოო. „მილიმეტრო“, „მილიმეტრო“, ამით იჯერებდა თავს. ხოლო ბოლო პენალტის ამბავი ჩემთვის ამ ბიჭისა იყო. მისმა სრულიად შეშლილმა კივილმა მობილურში, თან თითქოს ნამალავმა და თავშეკავებულმა, სრულიად გადაფარა 40 ათასი სკუსერის გრგვინვა.

„ინტერ“?

პასუხად თვალის ჩაკვრა და მალული ღიმილი.

ასეთი ამბებია.

საერთოდ, თასის ფინალი, თასის ფინალები იმითაც არის მაგარი, რომ სტადიონზე თავს იყრის ათასი ბედი და ათასი განცდა. მთელი ეს ისტორია ძალიან კარგ ინგლისურ მელოდრამას ჰგავს ხოლმე. ყოველი ადამიანი რაღაცით მიდის ასეთ თამაშზე და რაღაცას უკავშირებს მას. ეს თამაში სტამბოლელი ჯიბის ქურდებისთვისაც კი განსაკუთრებული იყო.

ზეიმის ღამეს, ქალაქის მოედნებზე მოცეკვავე ინგლისელებთან ერთად ისინიც ცეკვავდნენ და მღეროდნენ, ოღონდაც ამ ცეკვაში ისე მოხერხებულად ეტმასნებოდნენ მთვრალ და მოზეიმე ლივერპულელებს, რომ მათ საფულეებს სულ იოლად ითრევდნენ.

ბევრი მათგანი ტელეკამერის მსხვერპლი შეიქნა, ბევრიც პოლიციის აგენტებისა: სტამბოლელ ჯიბის ქურდებს იქვე მოედანზე იჭერდნენ, მაგრამ ბევრი მოზეიმეც დარჩა ნირწამხდარ, უპასპორტო და უბილეთო ამ შუაზეიმის დროს.

დიახ, ყველას თავის ბედი აქვს იმ ღამეს. პრესცენტრში შემოლასლასებულმა, გათანგულმა და შესამჩნევად გამხდარმა სტივენ ჯერარდმა სრულიად უაზროდ დააფურთხა იატაკზე და ატეხილი მედია-ტაში თითქოს ვერც გაიგონა, ორი სიტყვა წაიბლუკუნა და თქვა, წავალ მეო, ჩვენი მწვრთნელი გენიოსიაო. როცა ამას ამბობდა, გადაფითრებულმა რაფამ განზე გაიხედა და დარცხვენილმა დაჰკრა მხარზე ხელი კაპიტანს.



შევჩენკო დიდხანს იწვა ბალახზე, პაოლო მალდინის კი თავისი მაისურის კიდე ეჭირა კბილებში. აქ შეიძლება ის გავიხსენოთ, როგორ იუარა მალდინიმ თამაშისშემდგომი პენალტის დარტყმა ორი წლის წინა, ასევე ფინალში, როცა მასთან ქაღალდით მისულ კარლო ანჩელოტის ხელი აუქნია, შენ დაარტყიო. მეო, კარიერას ვამთავრებ და ვერ გავრისკავ პენალტის დარტყმასო.

მალდინი ახლაც არ იყო პენალტისტების სიაში. ესეც დიდი კაპიტნის ერთი რაკურსი და იმ საღამოს ბედი: ცხოვრებაში პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგაში, პირველ წუთზე. საიმიჯო გამოცდილება და იღბალი...

ამ გოლმა მთელი თამაში შეცვალა.

ჯადოსნური ამბავი, რომელიც სტამბოლის კიდეზე დატრიალდა, იმ ღამეს იქ მყოფი ადამიანისთვის იმდენის მიმცემი იყო, იმდენი რამის შეცვლა შეეძლო მის ცხოვრებაში, რომ... ეჰ, ამაზე ლაპარაკი შეუძლებელიც კია. თბილისში კი ყოველი მეორე შემხვედრი გეუბნება, ჩაწყობილი იყოო... აი, ასეთი სევდისმომგვრელი მხარეა ჩვენი მხარე. ეგებ ისა სჯობდეს, რომ ჩაიკარგო სტამბოლში, სადაც ისე შეიძლება ჩაკარგვა, როგორც არსად. ანდა ფეხბურთში ჩაიკარგო. დიდმა უნგრელმა მწვრთნელმა, ბელა გუტმანმა, რომელმაც ორჯერ მოაგებინა „ბენფიკას“ ჩემპიონთა თასი 60-იან წლებში, სიბერეში თქვა: „არასდროს მიფიქრია იმაზე რამდენ გოლს გამიტანდა მოწინააღმდეგე, მე იმაზე, ვფიქრობდი, მეტი რომ უნდა გამეტანა“. ეს ის დრო იყო, როცა ფეხბურთს ჯერ არ მოდებოდა კატენაჩო და ასეთი ცინიკური, ხისტი და პრაქტიკულიც არ გამხდარიყო. ჰოდა, ეს საოცრად უკავშირდება რაფა ბენიტესის სიტყვებს, სამშაბათს დილით რომ თქვა, მინდა, „მილანმა“ ბევრი გოლი გაიტანოს და ჩვენც ბევრი გოლი გავიტანოთო.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი.

საბოლოო ჯამში, ფეხბურთიც ეს არის: მილანელების ოსტატობას „ლივერპულმა“ სწორედ იმით აჯობა, რასაც უბრალოდ, ფეხბურთი ჰქვია და რასაც აუცილებლად სდევს თავგანწირვა და თავზე ხელის აღება. თითქოს ამიტომაც ლაპარაკობს მთელი მსოფლიო ინგლისურად. და საერთოდაც, მე თუ მკითხავთ, ასეთი რამ ხშირად ხდება ინგლისურ ფეხბურთში. იმ საღამოს ოლიმპიათსთადზე თითქოს პრემიერლიგის სული გადმობარგდა და თავისი მდიდარი და განუმეორებელი განცდები მოიტანა.

მეტი არც არაფერი.

ისტორია ხომ გრძელდება და ადამიანები ხომ განცდებისთვის მიდიან ფეხბურთზე. არა მხოლოდ იმისთვის, რომ მინდორს და სტამბოლს უყურონ. როგორ ზეიმობდნენ მილანელები პირველი ტაიმის შემდეგ: კარგახანს შემორჩნენ გასახდელისკენ მიმავალ წითელ სალიგო ხალიჩას და როგორ დამთავრდა ყველაფერი.

ანჩელოტიმ თქვა მთელი ამ ისტორიის შემდეგ, ძალიან უცნაური თამაში იყოო.

ეგებ, სწორედაც რომ ასეთი უნდა იყოს ფეხბურთი, ანდა ასეთი იყო, როცა მას გუტმანი, ვილიალონგა და ბასბი მართავდნენ და არა ისინი, ვისაც ჰგონია, რომ ფეხბურთი მხოლოდ 90 წუთი და გაზეთში ამოსაკითხი შედეგებია.

როცა შინ მისვლა ძალიან ძნელია

ჯეიმი კარაგერის მშობლიური ქალაქი

თავს უფლებას ვაძლევთ და სანამ ჩემპიონთა ლიგის დიდებული ფინალის ამბები ჯერ კიდევ ცხელია, უშუალოდ მასზე თუ არა, მასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულ ხალხსა და მოვლენებზე მოგითხრობთ. ამისკენ კი უეფას ჩემპიონთა ლიგის ოფიციალურ ჟურნალ „ჩემპიონზ"-ის ჩვენი აზრით ერთმა, მეტად საინტერესო რუბრიკამაც გვიბიძგა — „ჩემპიონზ"-ის ყოველ ნომერში, რომელიმე ფეხბურთელი ამა თუ იმ ქალაქის შესახებ ესაუბრება მკითხველს. ბოლო წერილის სათაურია „ჯეიმი კარაგერის ლივერპული" და ქვემოთ სწორედ ამ სტატიას გთავაზობთ



თავიდან ინტრიგა ვთქვათ: დღევანდელ „ლივერპულში" თუ ვინმე ამ კლუბის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი, ეს ჯეიმი კარაგერი ანუ კარა გახლავთ, რომელიც მშრომელია უბან ბუტლში დაბადებული და გაზრდილი, რაც ეი, ამას ნიშნავს:

„ბუტლში, მარშ ლეინზე, „ლივერპულის" ქომაგების დასათვლელად ხუთი თითი თავისუფლად გეყოფათ. იქ მხოლოდ „ევერტონის" ფანები ცხოვრობენ და ახლა წარმოიდგინეთ, როგორი იყო ჩემთვის შარშან, დერბის წაგების შემდეგ შინ დაბრუნება. ბავშვობაში უნებლიედ მეც ევერტონელი ვიყავი" — ამბობს მაიკლ ოუენის ძმაკაცი, რომელიც თავიდან ნახევარმცველი იყო, დღეს კი, რაჯა ბენიტესის სქემაში ცენტრალური მცველია. ბენიტესი მასზე ასე ამბობს:

„კარაგერს დაცვის ხაზზე თამაში შეუძლია და იმ თვისებებით გამოირჩევა, რომლით დაჯილდოებულ ადამიანს ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა."

ლივერპული

თუმცა, კარაგერის საფეხბურთო თვისებების აღწერაზე ნუ გადავერთვებით და ქალაქ ლივერპულზე ვიტყვი ორიოდ სიტყვა, წერილს მსუბუქი შესავალი გაუკეთოთ. კერძოდ, თუ ვინმემ არ იცის ან ჯერ არ გაუგია კუთხრათ, რომ ლივერპული უდიდესი პორტია, სტენლის პარკის გადაღმა-გადმოღმა ჰყავს ორი საფეხბურთო კლუბი „ლივერპული" და „ევერტონი", მსოფლიოს აჩუქა „ბითლზი" და იქაურებს აქვთ ძალიან თავისებური აქცენტი. ლივერპული 2008 წლის ევროპის კულტურულ ცენტრადაა გამოცხადებული.

ქალაქი დაარსებულია 1207 წელს, დააარსა მეფე ჯონმა. მაშინ ის იყო პატარა სოფელი, რომელიც განვითარების გზას შეუდგა და განვითარდა, როგორც ნავსადგური.

როგორც ნავსადგურებს სჩვევიათ, ზღვამ ამ ქალაქში საცხოვრებლად მოიყვანა უამრავი ირლანდიელი, აფრიკელი, აზიელი შორეული აღმოსავლეთიდან და ასე შეიქმნა ინგლისში პირველი მრავალეროვნული ქალაქი.

ცხადია, ლივერპულში მრავლადაა მუზეუმები და ქალაქი გეორგიანული და ვიქტორიანული ეპოქის არქიტექტურითაა დახუნძლული. ამ ქალაქში ყოველ აპრილს იმართება ენტრის დიდი ეროვნული დღე.

„ეს ქალაქი მართლაც ძალიან საგანგებოა — ამბობს კარაგერი, რომელსაც სხვაგან ერთი დღე არ უცხოვრია — ძალიან ძნელია, თითი კონკრეტულად იმ ერთი რამისკენ გაიშვირო, რაც ლივერპულს ასეთად აქცევს, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებული ალბათ, მაინც ლივერპულური იუმორია. მგონი ლივერპულში ერთი ადამიანიც არ დადის, ხუმრობა-სიცილი რომ არ უყვარდეს და ამიტომაც გვაქვს სიცოცხლით სავსე ხალხის სახელი გავარდნილი. საცხოვრებლად ლივერპულს არაფერი სჯობს და სადმე წასვლას არასდროს დავაპირებ.

ცხადია, ახლა ყველა 2008 წელზე ფიქრობს. ქალაქი ბოლო წლებში მართლა განვითარდა და ვფიქრობ, მომავალში ყველაფერი კიდევ უფრო კარგად იქნება. 2008-ში, აქ დიდი ამბები დატრიალდება და მეც ერთი სული მაქვს მანამდე."

ჩემი საყვარელი ხედი

დიდი ევროპული მატჩის საღამოს, „ენფილდის" მოედნიდან დანახული გადაჭედილი „კოპი" (ლეგენდარული ტრიბუნაა) ჩემი უსაყვარლესი ხედია. „კოპის" ლეგენდა მთელ ევროპაში კარგად არის ცნობილი. იგი მართლაც ის ადგილია, საიდანაც მოდის ყველანაირი შთაგონება. ეს ხედი დიდებულია, ხოლო ის ხმა, რომელსაც იქაური 12 000 ადამიანი გამოსცემს, განუმეორებელია.

ფეხბურთს თუ შევეშვებით, მაშინ სანაპიროზე ყოფნაა ყველაზე კარგი. ეს სანაპირო ჩემი ბავშვობის სახლიდან ხუთი წუთის სავალზეა. ჩემნაირი, ორშვილიანი კაცისთვის პლაჟიდან არცთუ შორს გასვლა და დასვენება საუცხოოა. მე ისინი ხშირად მიმყავს სათამაშოდ და ირლანდიის ზღვის ხედების სანახავად. ეს ხედი კაცს ყოველთვის აჯადოებს, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენჯერ ხარ აქ ნამყოფი.

ჩემი საყვარელი რესტორანი

მე ძალიან მიყვარს პასტა (მაკარონის კერძი) და ქალაქის შუაგულ ცენტრში, „კაზა იტალიაში" დავდივარ ხოლმე, თუმცა იმას კი არ ვამბობ, რომ ლივერპულში სხვა მშვენიერი რესტორნები არ არის. მაგალითად, ძალიან მიყვარს ალბერტ დოკში სადილობა, ხშირად ვსტუმრობ იქაურ „ბლუ ბარ ენდ გრილს" და „ისტ ისტ ისტ ს"

ჩემი საყვარელი ბარები

პროფესიონალი ფეხბურთელი გახლავართ და ლივერპულური ღამის ცხოვრებით ტკბობას ხშირად ვერ ვახერხებ, მაგრამ თუ ათასში ერთხელ მე და ბიჭებს შანსი გვივარდება, ამ სიამოვნებაზე უარს ნამდვილად არ ვამბობთ. სად დავდივართ? ისევ და ისევ ალბერტ დოკში, სადაც უამრავი ბარია, რომელთა შორის მთავარია „ბლუ". უფრო ქალაქის ცენტრისკენ არის „ნიუზ ბარი", სადაც საუკეთესო გართობით გარანტირებული ხარ. მე თუ მკითხავთ, ლივერპულში ის ყველას სჯობია.

კიდევ, კარგი იდგილებია ვიქტორია სტრიტზე, მაგალითად, „ლივინგ რუმი" და „პლეისი", რომელსაც იმიტომ ვასახელებ, რომ მისი პატრონი ლივერპულელი ვეტერანი ჯონ ოლდრიჯია... თუმცა ამ ბარს ახლა — „ალდოს პლეისი" ჰქვია.

ჩემი საყვარელი მაღაზიები

ლივერპულში ყველაზე დიდი და ცნობილი „უეიდ სმიტია", რომელიც ერთმა ადგილობრივმა ბიჭმა 1980-იან წლებში დააარსა და თავიდან პატარა მაღაზიად ჰქონდა, ტრენაჟორებით ვაჭრობდა. შემდეგ მაღაზია გაძლიერდა, გაძლიერდა და დაიწყო ყველაზე ცნობილ დიზაინერთა და სპორტული ფირმების ნაწარმით ვაჭრობა. ყველა ლივერპულელი ბავშვი აქ ყიდულობს ტანსაცმელს და მეც აქ დავდივარ.

ფეხბურთელთაგან ბევრი დადის მაღაზიაში, რომელსაც „კრიკეტი" ჰქვია. აქ ტანსაცმელი ცოტა ძვირი კია, მაგრამ ხარისხიანია. საერთოდ, ლივერპულში დიზაინერთა შექმნილ ტანსაცმელზე დიდი მოთხოვნილებაა და ამავე ქუჩის ბოლოში არის ისეთი მაღაზიები, როგორიცაა მაგალითად „რიჩი". თუკი სიტყვა შოპინგზე ჩამოვარდება, მე ვიტყოდი, რომ ლივერპული ამ მხრივ საუკეთესო ინგლისურ ქალაქებს შორის არის, რასაც აშკარად ვერ ვიტყვი ლონდონზე.

ჩემი რჩევები ტურისტებს

ნებისმიერმა ტურისტმა უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, „ენფილდი" უნდა ნახოს. ეს არის ინგლისის ყველაზე წარმატებული გუნდის სახლი. ეს კლუბი მოელმა ევროპამ იცის და მის მუზეუმსა და სტადიონზე მისვლა ჩემგან მკაფიოდ რეკომენდირებულია.

შემდეგ, მე გირჩევდით „ბიტლებთან" დაკავშირებული ადგილების ნახვას. ალბერტ დოკში სპეციალური მუზეუმია. კიდევ არის საინტერესო ადგილები მეტიუ სტრიტზე, სადაც მდებარეობს „კავერნ კლუბი", პენი ლეინი და ლენონისა და მაკარტნის სახლები.

ქალაქის ორი ყველაზე დიდი სიამაყე ჩემი აზრით, „ლივერპული" და „ბითლზია". ასე რომ, აქ ყოფნა ორივეს შესწავლის გარეშე სრულყოფილი არ იქნებოდა.





ლივერპულის ორი უმთავრესი ღირშესანიშნაობა: „ენფილდი" და პენი ლეინი

უმოტივო მოტივები

AFP ტურინიდან

ტურინის „იუვენტუსს“ 28-ე სკუდეტო მშობლიურ „დელე ალპიზე“ შეკრებილმა 40 ათასმა ქომაგმა მიულოცა

იტალია

სერია A. XXXVIII ტური

უდინეზე 1:1 მილანი

1:0 დი მიკელე (56), 1:1 სერჟინიო (85)

უდინეზე: პანდაროვიჩი, ბერტოტო, ფელიპე, კროლდრუპი, დ. ძენონი, პინცი (მუნტარი 64), დ. პიზარო (დი ნატალე 87), პაზიენცა, პიერი, იაკინტა, დი მიკელე (მაური 81)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

მილანი: დიდა, პანკარო, შიმიჩი, ნესტა, კალაძე, ბროკი, პირლო (ზეედორფი 65), დორასო (გატუზო 69), სერჟინიო, კრესპო (კაკა 65), ფ. ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მსაჯი: ტრეფოლონი

23 000 მაყურებელი

იუვენტუსი 4:2 კალიარი

1:0 დელ პიერო (43), 2:0 ტრეზეგე (51), 3:0 აპია (59), 3:1 ძოლა (60), 4:1 ტრეზეგე (73), 4:2 ძოლა (86)

იუვენტუსი: კიმენტი, პესოტო, ტურამი, ფ. კანავარო (კამორანეზი 52), ძამბროტა, აპია, ემერსონი (ბირინდელი 67), ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი (მუტუ 55), დელ პიერო, ტრეზეგე

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

კალიარი: ბრუნერი, ფ. პიზანო, ლორია, ბეგა, საბატო (ვინიატი 45), აგოსტინი, ალბინო, ბრამბილა (ძოლა 55), გობი, პანი (ბუდელი 62), ბიანკი

მწვრთნელი: დანიელე არიგონი

მსაჯი: ბანტი

40 000 მაყურებელი

ინტერი 0:0 რეჯინა

ინტერი: ტოლდო, გამარა, მატერაცი, მიხაილოვიჩი (ო. მარტინსი 62), ფავალი (ანდრეოლი 56), ზე მარია, მარინო, ემრე, კარაგუნისი, ვიერი (ბელაიდი 80), ხ. კრუზი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

რეჯინა: სოვიერო, პიკოლო, დე როსა, ი. ფრანჩესკინი, კანარზა (ზეიტულაევი 67), მესტო, პარედესი, მოცარტი, ბალესტრი, ესტევესი (ნაკამურა 74), ბონაცოლი (მისიროლი 90)

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

გაფრთხილება: ბონაცოლი, ვიერი

მსაჯი: აიროლდი

50 000 მაყურებელი

ბოლონია 0:0 სამპდორია

ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი (ლოვიზო 77), ლეგროტაღლიე, გამბერინი, კაპუანო, ნერვო, ზაგორაკისი, ლ. კოლუჩი, ბელუჩი (მეგნი 75), ლოკატელი (ტარე 60), ჩიპრიანი

მწვრთნელი: კარლო მაცონე

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, პავანი, მ. პიზანო, დიანა (კუტუზოვი 70), პალომბო (დონი 60), ვოლპი, ტონეტო, ფლაკი, როსინი

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

გაფრთხილება: ვოლპი, ძენონი, ზაგორაკისი, ჟუარესი, ჩიპრიანი

მსაჯი: პაპარესტა

36 000 მაყურებელი

რომა 0:0 კიევო

რომა: კურჩი, პანუჩი, შავიერი, სკურტო, კუფრე, აკილანი (ვირგა 12), დე როსი, პეროტა, ტოტი, მონტელა, კორვია (როზი 88)

მწვრთნელი: ბრუნო კონტი

კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, მანდელი, დანა, ს. ლანა, სამარკო, ძანკეტა, დ. ფრანჩესკინი (მალაგო 70), მარკვეზეტი (ფუზანი 46), ამაური, ლუსიანო (პელისიერი 82)

მწვრთნელი: მარკო დანჯელო

გაფრთხილება: დანა, სკურტო, მორო

მსაჯი: მორგანტი

55 000 მაყურებელი

პალერმო 3:3 ლაციო

1:0 ტონი (2), 1:1 როკი (43), 2:1 ბრიენძა (60), 3:1 ტონი (64), 3:2 ბაკანი (71), 3:3 მუცი (87)

პალერმო: სანტონი, მ. ფერი, ძაკარდო, ბარძალი, გროსო, სანტანა, კორონი (მორონე 80), ბარონე, მ. გონსალესი, ბრიენძა (მუტარელი 69), ტონი (კონტეჰი 89)

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

ლაციო: ბერუჩი (კაზაკა 46), ოდო, სივილია, ჯანიკედა, ძაური, ა. ფილიპინი, დაბო, ე. ფილიპინი, სეზარი, დი კანიო (ბაკანი 69), როკი (მუცი 64)

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

გაფრთხილება: ოდო

მსაჯი: მესინა

33 074 მაყურებელი

ლეჩე 3:3 პარმა

0:1 მორფეო (22), 1:1 პინარდი (29), 2:1 ვუჩინიჩი (40), 2:2 ბრეშიანო (43), 3:2 დალა ბონა (46), 3:3 ჯილარდინო (55)

ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა (ბარიანინი 84), ხ. ვალდესი, ვუჩინიჩი (ანჯელო 77), პინარდი

მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი

პარმა: ს. ფრეი, ბონერა, პ. კანავარო, კარდონე, კონტინი, პიზანუ (ვინიაროლი 77), ბოლანო, სიმპლისიო (ი. კამარა 86), ბრეშიანო, მორფეო, ჯილარდინო

მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი

გაფრთხილება: ბოლანო, კონტინი, მორფეო, ბონერა, დალა ბონა, კასეტი, ჯილარდინო, კონტინი, მორფეო

გაძევება: კონტინი (84), მორფეო (90)

მსაჯი: დე სანტისი

22 000 მაყურებელი

ფიორენტინა 3:0 ბრეშა

1:0 მიკოლი (43პ), 2:0 იორგენსენი (59), 3:0 რიგანო (66)

ფიორენტინა: ლუპატელი, უიფალუში, ვიალი, დაინელი, კიელინი, დი ლივიო (არიატი 88), მარესკა (ობოდო 82), დონადელი, იორგენსენი, მიკოლი (რიგანო 84), პაცინი

მწვრთნელი: დინო ძოფი

ბრეშა: კასტელაცი, ძობოლი, დი ბიაჯო, დომიცი (ვონლანტენი 62), ჟ. მარტინესი, სტანკევიჩიუსი (მანინი 60), მილანეტო, ძამბელა (შოპი 46), ვომე, დელ ნერო, კარაჩოლო

მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი

გაფრთხილება: დი ბიაჯო, დელ ნერო, ვიალი, შოპი

გაძევება: მილანეტო (89)

მსაჯი: კოლინა

44 808 მაყურებელი

მესინა 1:1 ლივორნო

1:0 ძამპანა (71), 1:1 კ. ლუკარელი (84)

მესინა: ელეფთეროპულოსი, ზორო კპოლო (პარიზი 52), ძანკი, ფუსკო, არონიკა, ჯამპა, კოპოლა, დონატი, დაგოსტინო (სულო 85), ძამპანა (ნ. ამორუზო 77), დი ნაპოლი

მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

ლივორნო: მაცონი, გრანდონი, ვარგასი (გალანტე 67), ა. ლუკარელი, ბფერელი (ბალერი 62), ოსეი, გრაუზო, რუოტოლო (ვიჯანი 46), ჯალლომბარდო, პაულინიუ, კ. ლუკარელი

მწვრთნელი: რობერტო დონადონი

გაფრთხილება: ბალერი, პაულინიუ

მსაჯი: რომეო

30 500 მაყურებელი

სიენა 2:1 ატალანტა

1:0 კიეზა (8), 1:1 ბუდანი (62), 2:1 არჯილი (81)

სიენა: მანინგერი, არჯილი, ი. ტუდორი, მინანი, ალბერტო, დავერსა, ტადეი (მაკარონე 72), ვერგასოლა, ფალზონი, კიეზა (ჩირილო 82), ტ. ფლო

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

ატალანტა: კალდერონი, რივალტა, კაპელი, ნატალი, დ. მოტა, მონტოლივო, ბერნარდინი, მარკოლინი, ადრიანუ (პაგანო 82), ლაცარი (ხუტორი 78), მაკინვა (ბუდანი 46)

მწვრთნელი: დელიო როსი

გაფრთხილება: რივალტა

მსაჯი: ფარინა

11 000 მაყურებელი

სერია A ისე დასრულდა, როგორც მას შეჰფერის. მეტოქეებმა ერთმანეთს არაფერი დაუთმეს იყო საჭვო თამაშებიც, საბოლოოდ კი 10 შეხვედრიდან 7 ფრედ მორჩა, ხოლო დანარჩენ სამში მასპინძლებმა იმარჯვეს.

	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „იბერიონის" მესაბამი
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

თბილისი ინტერპერფორმენსს უერთდება
იტალიური ინვესტიცია ქართულ კალათბურთში

ირაკლი პერტაია

კორდობა, ვენა, ვილნიუსი, ლაგოსი — ამ ქალაქებს შესაძლოა, მალე თბილისიც შეემატოს. საქმე ეხება საერთაშორისო სააგენტო „ინტერპერფორმენსის“ წარმომადგენლობას, მსოფლიოში განფენილ ორგანიზაციას, რომელიც არაერთი მსოფლიო ვარსკვლავს და მწვრთნელს აერთიანებს. ამ კომპანიამ განიხილა, საქართველოშიც გახსნას თავისი ოფიციალური წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს საკალათბურთო სკოლის გახსნას.

გუშინ საკალათბურთო კლუბ „მაკაბის“ ოფისში ედამლეტ ხუხაშვილმა სააგენტო „ინტერპერფორმენსის“ პრეზიდენტ ვინენცო კაპიტიონის პრესკონფერენციაზე მიგვწვია და ამ საკალათბურთო სამყაროში ცნობილ პიროვნებასთან გასაუბრების საშუალება მოგვეცა.

კაპიტიონი არის იმ საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელი, რომელიც ნბა-ს არაერთ ვარსკვლავს მეურვეობს და ამათ შორისაა ნიკოლოზ ცქიტიშვილიც, რომლის ტრანსფერიც ამ კომპანიის მარიფაითაა დამოკიდებული.

გუშინ „მაკაბის“ ოფისს რომ ვეწვეთო, კაპიტიონისთან ერთად ლიტველი აგენტი ვირგის ზოლოტასიც დაგვხვდა, რომელიც „ინტერპერფორმენსის“ პრეზიდენტს საქართველოში აქაური საკალათბურთო მეურნეობის გასაცნობად ჩამოჰყვა.

ეს კომპანია საქართველოში სერიოზული საკალათბურთო ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს და რას როგორ აპირებს, „ინტერპერფორმენსის“ პრეზიდენტმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა.

„მე საქართველოს კარგად ვიცნობ და დღეს აქ ამიტომაც ვარ ჩემი სააგენტოს კლიენტია ნბა-ს არაერთი ვარსკვლავი და მწვრთნელი, საქართველოში კი სათანამშრომლოდ ჩამოვედი. მე მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი ტალანტების ძებნაში და თქვენს ქვეყანაშიც ამ მიზნით ჩამოვედი, თუმც არ გეგონოთ, რომ აქ თინეიჯერი ბიჭების ევროპაში გასარეკად ვარ. ჩემი კომპანია მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულია. მას ბევრგან აქვს თავისი წარმომადგენლობა.

არგენტინის ქალაქ კორდობაში, ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში, ვილნიუსსა და ვენაში „ინტერპერფორმენსის“ ოფისები საკმაოდ ყირაოიანად ფუნქციონირებენ და ჩვენ გვსურს, საქართველოშიც გავხსნათ ჩვენი წარმომადგენლობა...

ამით ჩვენ არ ვაპირებთ, თქვენი ახალგაზრდების ადრიანად უცხოეთში გაყიდვას, პირიქით, „ინტერპერფორმენსის“ სურვილია, თბილისში თავისი სკოლა შექმნას, სადაც პერსპექტიულ მოთამაშეებს მოუყრის თავს და მათ აქვე დაოსტატებაში შეუწყობს ხელს.

ჯობს, აქვე გავხსნათ საკალათბურთო სკოლა, ვიდრე თითოეული მოთამაშის უცხოეთში გასხვისებაზე ვიზრუნოთ. გეგმა ასეთია: თბილისში ჩემი სააგენტოს წარმომადგენლობა გაიხსნას, რომელიც სკოლის სახით იარსებებს და ახალგაზრდა ქართველებს უცხოეთში გამგზავრებაში დაეხმარება.

ესაა ბიზნესი და თუ ჩვენი კომპანია ამ საქმეში ფულის ჩადებას გადაწყვეტს [illegible] სათანადოდ გავაკონტროლებ [illegible] ჩვენი წარმომადგენელი ვაჟა კვარაცხელია იქნება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს კომპანიის საქმიანობას და ქართველი ტალანტების ჩვენს სკოლაში მოხიდვას იკისრებს. მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ადგილზე გავეცნო აქამდე არაერთხელ გაგონილს. სულ ის მესმის, რომ საქართველოში უაღრესად პერსპექტიული ახალგაზრდები არიან და ჩემი საქმეც ხომ ტალანტების აღმოჩენაა.

თუ აქ სკოლის გახსნას გადავწყვეტთ, პირველი შედეგები უკვე ივლისში გამოჩნდება, ხოლო თუ საქმე ჩინებულად აეწყო, სექტემბერში თბილისშე უკვე „ინტერპერსფორმენსის“ სკოლას გავხსნით“.

ვიჩენცო კაპიტიონი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს იტალიურ საკალათბურთო სამყაროში. იგი სან მარინოს კალათბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა და ამ ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის აღორძინებლად ითვლება. ღღეს ის თბილისშია და აქაური საკალათბურთო მეურნეობას ეცნობა. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, სექტემბერში თბილისში „ინტერპერფორმენსის“ საკალათბურთო სკოლა გაიხსნება. ვნახოთ...



ვაჟა კვარაცხელია, ვიჩენცო კაპიტიონი და ვირგის ზოლოტასი

ბურაგ დოლიძეგაბეგილის ფოტო

ოლ სტარმა დახურა...



გამარჯვებული და დამარცხებული: დავით ვაშაკიძე და მიხეილ ფანჩულიძე

„ს“ გუნდი 100:103 „ბ“ გუნდი

25:31 26:25 27:29 19:18

„ს“ გუნდი: დ. ბერიშვილი (16), კეიდია (13), მარკოიშვილი (6), გაგნიძე (15), გამყრელიძე (5), დოლმაზაშვილი (2), ჯაფარიძე (4), გოგობერიშვილი (17), ლაფანაშვილი (10), მათიაშვილი (6)

„ბ“ გუნდი: დანელიანი (8), ბადრიძე (2), ფანჩულიძე (24), თორთლაძე, ნიკოლაძე (7), შენგელია (4), მ. ბერიშვილი (10), ელენტი (14), ნინიაშვილი (17), ორმოცაძე, კოკოლიშვილი (2), ვაშაკიძე (8), გაფრინდაშვილი (4)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

შაბათს ქართული ოლ სტარი გაიმართა და ეს არ იყო ისეთი წარმოდგენა, რომ ხალხს მარათონული სეზონის შემდეგ დაარხეინებულად ეხალისა. მცდელობა იყო ვარსკვლავთთამაშისა, მონაწილენიც ლამაზად გარჯას ეშურებოდნენ, მაგრამ საერთო ჯამში დიდიც ვერაფერი გამოსდიოდათ და თუკი მაყურებელთა ოვაცია იგრძნობოდა, მხოლოდ ჩატენვების კონკურსში.

საკუთრივ თამაში თვალსასაჩინო ვერ გამოდგა. B გუნდმა, ანუ ფინალში დამარცხებული „ავიამშენისა“ და მესამეადგილოსან თსუ-ს ნაკრებმა ჩემპიონ სტუსა და „დინამოს“ გაერთიანებული გუნდი დაჯაბნა, მაგრამ ასეთი ყაიდის მატჩებში გამარჯვება ხომ ჩირადაც არ ღირს. მთავარია, მაყურებელს ლამაზად შესრულებული ილეთი და ეფექტურად ჩატენილი ბურთი უჩვენო, რასაც იშვიათად თუ ნახავდით.

ყველაზე თვალსასაჩინოდ თსუელი მიშა ფანჩულიძე თამაშობდა, რომელმაც არაერთხელ ულამაზესად ჩატენა და ცოტაც რომ გამართლებოდა, ეფექტური გდებების კონკურსსაც მოიგებდა. ისე კი ამ მინი-ტურნირში „მაკაბელმა“ გივი ვაშაკიძემ გაიმარჯვა, რომელმაც არაერთი ეფექტური ტრიუკი გვიჩვენა.

რა თქმა უნდა, გაიმართა სამქულიანების ტურნირიც, რომელიც ახლახან გაჩემპიონებულმა „სტუჯეოსელის“ გამთამაშებელმა დავით ბერიშვილმა მოიგო. დავითმა ბოლო ტყორცნით მოიპოვა პირველობა და აჯობა თსუ-ს ახალგაზრდა ფორვარდ ნოდარ ბერაიას, რომელიც ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა მარცხს და გამარჯვებულს წარმატება აღიარად მიულოცა.

ამ შოუ-მატჩით დასრულდა ხეზონი, რომელიც ისეთივე ეროფეროვანი გამოდგა, როგორც შარშანდელი. უკეთესი კალათბურთის მოლოდინში ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებს მოახალ სეზონამდე ვემშვიდობებით.



ოლ სტარის სნაიპერი
დავით ბერიშვილი

ფოტოზე ია ფარეულავა

NB A PLAY OFF 2005 კონფერენციის ფინალი



ტიმ დანკანმა სტივ ნეშს გეგმები ჩაუფუშა

იყო და არა იყო რა, ფინიქსი აღარ იყო რა

28 მაისი
აღმოსავლეთი
ფინიქსი 0:3 სან ანტონიო
სან ანტონიო 102:92 ფინიქსი

სან ანტონიო: პარკერი (18), ჯინობილი (18), ბოუენი (6), დანკანი (33 ქულა, 15 მოხსნა), მუჰამედი (9); ბერი (11), ჰორი (7 ქულა, 11 მოხსნა), უდრიჰი, ნესტეროვიჩი

ფინიქსი: ნეში (20), ჯონსონი (15), მარიონი (6), რიჩარდსონი (13), სტუდემაიერი (34 ქულა, 11 მოხსნა); ჯეკსონი (4), ჰანტერი

დაპირდა და აუსრულა — „სან ანტონიო სფურზმა" სტუმრად ორი გამარჯვების შემდეგ შინ უარეს დღეში ჩააგდო „ფინიქს სანზი" და ეს ლაღი და სიმპათიური გუნდი გასავარდნად გაწირა.

არც დაცვა და ახლა უკვე აღარც შეტევა, „ფინიქსელებს" ისეთი არაფერი შერჩათ, ბოლო წლების ნბა-ს ერთ-ერთ სტაბილურად საუკეთესო გუნდს რომ დაუპირისპირდნენ. თუმცა მათ ექვსმატჩიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდათ მარდი ჯო ჯონსონი და მისგან 15-ქულიანი დახმარებაც მიიღეს, არიზონელებს მაინც აკლდათ მარილი და პილპილი შეტევაში და ამ პლეი ოფში 13 თამაშში პირველად ვერ შესწვდნენ 100-ქულიან თამასას.

თურმე რამდენს ნიშნავს „სანზისთვის" სტივ ნეშის პასები... სეზონის ჭეშმარიტად უძვირფასესმა და ყველაზე სარგებლიანმა მოთამაშემ 20 ქულა კი გაიღო, მაგრამ 3 პასის მეტი ვერ გააკეთა და ჩაფლავდა „ფინიქსი" შეტევაში...

ნეშს პასები არ გასდიოდა, შონ მარიონს არაფერი გამოსდიოდა, ხოლო ამარე სტუდემაიერმა თუმც 34 ქულა გააკეთა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მას წლეულს ამაზე ცოტა არასდროს მოუხვეჭავს „სან ანტონიოსთან" ბრძოლებში. არადა, „ფინიქსი" ოთხჯერ რეგულარულში შეხვდა „სფურზს" და აგერ, მესამედ ეთამაშა პლეი ოფში. ამარეც ყოველთვის უფრო მეტს უგდებდა ტეხასელებს, ვიდრე შაბათს ჩაუგდო.

ერთი სიტყვით, გაიწირა „ფინიქსი" და მიკ დანტონის შეგირდები უკვე სერიის კი არა, თუნდაც ერთი შეხვედრის მოგებაზე ფიქრობენ. რაც უნდა იყოს, რეგულარულში 62 გამარჯვების მიმთვლელი გუნდისთვის სირცხვილია კონფერენციის ფინალიდან 0:4 განადგურებით გამოვარდნა.

არადა, ყველაფერი აქით მიდის, სჯობს „სან ანტონიო" „ფინიქსს" და რა უნდა იღონონ? თავიდანვე სჯობდა, პირველი წუთებიდანვე. „სანზი" მთელ 48 წუთში ერთხელაც არ დაწინაურებულა თუნდაც ერთი ქულით, მასპინძლებმა კი პირველი მეოთხედი 9 ქულით მოიგეს, ტიმი 17-ით და 20-ითაც კი გაიჭრნენ წინ. მასპინძლებმა დანკანის, ჰორის და ჯინობილის (9 მოხსნა) წყალობით ფარიც მოუგეს სტუმრებს, ბურთიც უკეთ გათამაშეს — 18:10 აჯობეს პასებში და საკუთარი ფარის მისადგომებიც საიმედოდ ჩაკეტეს... რაღა ბევრი ვწეროთ და, ყველანაირად აჯობეს. ეგაა, ბოლო მეოთხედში ცოტა მოუშვეს ლაგამი და „მხოლოდ" 10 ქულითაც ამიტომ იმარჯვეს.

„ეს ბიჭები ძალიან ძლიერები არიან და ახლა უკვე თამამად ვიტყვი, მათ ბოლომდე გაისიგრძეგანეს, რისი შნო აქვთ და რა შეუძლიათ" — ასე ახასიათებს თავის შეგირდებს „სფურზის" თავკაცი გრეგ პოპოვიჩი.

სხვათა შორის, „გრეგ პოპის" შეგირდთაგან ერთ-ერთისთვის, რობერტ ჰორისთვის ეს იყო 190-ე საპლეიოფო თამაში. ამ ციფრით ის გაუტოლდა თვით ლეგენდარულ მეჯიკ ჯონსონს, რომელიც ამით გამოცდილ მეპლეიოფეთა სიაში მეხუთეა. კიდევ ოთხი თამაში და ჰორი კიდევ ერთი საფეხურით აიწევს.

შეგახსენებთ, რომ ეს ვეტერანი ნბა-ს 3-გზის ჩემპიონია — ორჯერ „ჰიუსტონში" იზეიმა პირველობა და სამჯერ „ლეიკერსში". და საერთოდ, „სფურზის" თითქმის ყველა წამყვან მოთამაშეს სულ მცირე, ერთხელ მაინც აუწევია საჩემპიონო თასი, ხოლო ფინიქსელთაგან ერთადერთი სტივ ნეშია გამოცდილი და მისი გამოცდილებაც 2002 წლის კონფერენციის ფინალს ვერ სცდება.

კოტე ყორღანია

giro d'italia — ჯირო დიგალია 2005. 7-29 მაისი

არ გაგიმართლა, სიმონ!
მილანი სავოლდელის ელის

კაცმ ეს ყოფილა და მგლის მუხლიც ამას ჰქონია. თუმცა ივან ბასოსთვის კარგი იქნებოდა, კუჭიც მგლისა ჰქონოდა. „ჯირო დიტალიას" ყოფილ ლიდერს სწორედ კუჭის აშლილობამ თუ შეკრულობამ, ან იქნებ სულაც მოწამლულობამ ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე ფეხი ააღებინა და ლამის საერთოდ გამოთიშა პრესტიჟულობით მსოფლიოს მეორე ველოტურს. მაგრამ ბასომ ყველაფერს გაუძლო და თუმცა პირველობისთვის ბრძოლა ვეღარ შეძლო, თავისი ველოს ბორბლის ანაბეჭდი მაინც დატოვა სამშობლოს გზატკეცილებზე.

ყველამ კარგად იცის, რომ ბასო მთის კაცია და ხუთშაბათს აღმართ-დაღმართიანი ეტაპიც მოიგო, მაგრამ იმას კი ცოტა იფიქრებდა, რომ მეორე დღეს, პარასკევს, ჩიერიდან ტურინამდე 31-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაშიც ყველას აჯობებდა. არადა, ინდივიდუალური რბოლა სულაც არაა მისი პროფილი.

მაგრამ მოვრჩეთ ბასოზე ლაპარაკს და ჯიროს ძველ-ახალი ჩემპიონი პაოლო სავოლდელი ვახსენოთ, რომელსაც იტალიური ველოსპორტი 2002 წელსაც მოუგია და ახლაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ ბოლო, სიმბოლურ ეტაპზე პირველობა პედლიდან გაუფრინდეს.

სავოლდელი იდეალური მთიელი არ არის, მაგრამ ყველაფრის გადამწყვეტ ეტაპზე, შაბათს, მთებში თავს ყოჩაღად იცავდა და მოახერხა უშუალო კონკურენტებთან ცოტაოდენი უპირატესობის შენარჩუნება. კონკურენტი კი ძირითადად ერთი ჰყავდა, რაკი ბასო კუჭმა კარგა უკან დახია. ინდივიდუალური რბოლის შემდეგ სავოლდელი ორ წუთსა და ცხრა წამს უგებდა 2001 და 2003 წლების ჩემპიონ ჯილბერტო სიმონის და გვარიანი ოფლი და კალორიები დახარჯა, ამ უპირატესობიდან რაღაც მაინც რომ შეენარჩუნებინა.

მე-19, ბოლოსწინა ეტაპი ურთულესი იყო ორი ვერაგი აღმართით, რომელთაგან პირველი მართლა წამება გამოდგა ყველასთვის. 18,5 კილომეტრიანი უასფალტო, მხოლოდ მოხრეშილი გზა ცხრაგრადუსიანი დახრილობით აღმართულიყო მრბოლების წინაშე და გამოცდილი მთიელი სიმონი აქ თუ მოუგებდა დროს შედარებით მძიმე წონიან სავოლდელის. ჯილბერტო ამ ... პედლებზე ხტოდა და ამ ჯოჯოხეთ-თის კიბის ავლისას ერთი ხანია სწორედ საჭირო დროით გაასწრო ლიდერს, მაგრამ ამ მთამ ბოლომდე გამოწურა მისი ძალები და დაშვების და შემდეგ სესტრიერეს ეკონომიზებზე ასვლისას მას უკვე არაფერი გამოლეოდა. მანამდე მას გვარიანად წაეხმარა საერთო ჩათვლის კიდევ ერთი მოწინააღმდეგე დანილო დი ლუკა, მაგრამ ორმოცაში ... ცზე მან კუნთი იტკინა და სიმხიარულე მარტო დარჩა...

იყო კიდევ ერთი მრბოლელი ამ თოთან, ვენესუელელი ხოსე რუხანო გუილენი, რომელიც ერთის ... მაკურად იქცეოდა რიგა სიმონი და დი ლუკა პირველი მთის ხეტიალზე დასვენებული გახლდათ და ისე გაიქცა, გასავათებული სიო ... ველარც მიჰყვა. ვერ მიჰყვა და ... გამო მხოლოდ წუთით და 29 წამით მიასწრო სავოლდელის, ეს კი მისი დამარცხება და ამ ... გამარჯვების ნიშნავდა.

გუშინ გვიან სავოლდელი მილანში უკვე ჩემპიონის რანგში შეკრებოდა...

კოტე ყორღანია

პაოლო სავოლდელი (ზედა ფოტოზე) ხრეშიან გზაზე ყოჩაღად მიჰყვა დანილო დი ლუკას და ჯილბერტო სიმონის და ლიდერობაც შეინარჩუნა

მე-18 ეტაპი. 27 მაისი. ჩიერი — ტურინი. 194 კმ

1 ივან ბასო (იტალია, CSC)	45 წთ, 5 წმ
4 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი)	-23 წმ
8 ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, სონიე დიუვალი)	-1 წთ, 25 წმ
10 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)	-1 წთ, 34 წმ
14 დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგას-ბიანკი)	-1 წთ, 55 წმ
16 ხოსე რუხანო გუილეგი (ვენესუელა, სელე იტალია)	-1 წთ, 59 წმ

მე-19 ეტაპი. 28 მაისი. სავილიანო — სესტრიერი. 190 კმ

1 ხოსე რუხანო გუილენი (ვენესუელა, სელე იტალია)	5 სთ, 49 წთ, 30 წმ
2 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)	-26 წმ
3 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი)	-1 წთ, 37 წმ
4 ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, საუნიე დიუვალი)	-1 წთ, 53 წმ
7 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი)	-1 წთ, 55 წმ

საერთო ჩათვლა

1 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი)	88 სთ, 1 წთ, 43 წმ
2 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)	-28 წმ
3 ხოსე რუხანო გუილენი (ვენესუელა, სელე იტალია)	-45 წმ
4 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი)	-2 წთ, 43 წმ
5 ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, საუნიე დიუვალი)	-3 წთ, 11 წმ
28 ივან ბასო (იტალია, CSC)	-57 წთ, 5 წმ



ბორჯღალი რუმინეთთანაც მაგრად დატრიალდა

ევროპის ჩემპიონატი ოცწლამდელ მორაგბეთა შორის, რომელიც ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში ჩატარდა, ზე-თორმეტს პრესტიჟულობით რომ ვერ შეედრება, ფაქტია. მთელი მსოფლიოც „ქრუზეიდერსი" — „ვარატასის" ჯახს ელოდა სულმოუთქმელად, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ფინალი ჩვენთვის უფრო ახლობელი და მნიშვნელოვანია დღეს, ვიდრე სამხრეთ ნახევარსფეროში გამართული ბურთაობა.

შარშან პირველად ჩავებით ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში და ფინალში რუმინელებმა დაგვამარცხეს, ეს ტრაგედიად არავის აღუქვია, რუმინეთი ხომ აღმოსავლეთ ევროპაში უპირველესი სარაგბო ქვეყანაა.

წლეულს მეორედ გამოვედით ამ ტურნირზე და...

ჯერ პოლონეთი იყო, სახალისოდ რომ წაგვავარჯიშა და ძალიან იოლად დავამარცხეთ. შემდეგ ნახევარფინალი და რუსებთან ჯახი, სადაც კიდევ ერთხელ გავიხსენეთ, რა გემრიელია ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის დამარცხება. ბოლოს კი ფინალი იმავე რუმინეთთან, ფინალი, რომლის ძირითად დროსაც მსაჯმა 10(!) წუთი დაამატა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ირაკლი ყაისაშვილის 5 ზუსტად შესრულებული საჯარიმოს წყალობით „ბორჯღალოსნები" 15:0-ს იგებდნენ და მსაჯსაც სხვა რა დარჩენოდა, სხვანაირად რუმინელებს აღარაფერი ეშველებოდათ.

მაგრამ მოვრჩეთ მსაჯობაზე ლაპარაკს, ასეთ რამეებს დიდი ხანია, მივეჩვიეთ. ახლა სიხარულის დროა.

დამატებულ 10 წუთში რუმინელებმა 10 ქულა გააკეთეს, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს და ჩვენებურებმა 15:10 მოიგეს.

აი, ასე, კვირას, 29 მაისს, საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა რაგბიში.

ლადო ფულუკიძე

ზე-თორმეტი

ფინალი

28 მაისი. ქრაისთჩარჩი

ქრუზეიდერსი 35:25 ვარატასი

ქრუზეიდერსი: 4 ლელო: ჰამილტონი, ჰივეტი, მაქდონალდი, რალფი; 3 გარდასახვა: კარტერი; 2 საჯარიმო: კარტერი; არეკნი: მაუგერი

ვარატასი: 3 ლელო: ვო, როჯერსი (2); 2 გარდასახვა: როჯერსი; 2 საჯარიმო: ჰიუეთი

შაბათს, 28 მაისს, ქრაისთჩარჩის „ჯეიდ სტედიუმზე", გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ „ქრუზეიდერსმა" 35:25 დაამარცხა ახალი სამხრეთ უელსის „ვარატასი" და ზე-თორმეტის ჩემპიონი მეხუთედ და უკანასკნელად გახდა.

ათ ზე-თორმეტულ სეზონში „ჯეკარისსებმა" მხოლოდ სამჯერ ვერ უწიეს ფინალს, შვიდი საფინალო ჯახიდან კი მხოლოდ ორში იწვნიეს მარცხი.

შაბათს „ქრუზეიდერსი", მოედნისა და ბურთის სრული ბატონ-პატრონი იყო. „ვარატასმა" ბოლო ოცწუთეულში იძალა, თორემ საერთო სურათიდან გამომდინარე, მასპინძლებს უფრო დიდი სხვაობით მოგებაც შეეძლოთ.

ზე-თორმეტის უკანასკნელი ფინალი ამ ტურნირის ისტორიაში რიგით 690-ე მატჩი გახლდათ, გაისად კი სამხრეთული საკლუბო რაგბის ისტორიაში ახალი თავი გაჩნდება ზე-თოთხმეტის სახით.

სიმბოლურია, რომ ტურნირის ბოლო გამარჯვებული სწორედ „ქრუზეიდერსი" გახდა. ჯერ ერთი, ეს ზელანდიური კლუბი ყველაზე ტიტულიანია და მეორეც — მას იმდენჯერ მოუგია ჩემპიონობა, რამდენჯერაც ყველა დანარჩენ კლუბს ერთად აღებულს.

ყველა დანარჩენში ორ კლუბს ვგულისხმობთ. ოკლენდის „ბლუზს" სამჯერ უჩემპიონია, ავსტრალიურ „ბრამბისს" კი — ორჯერ.

„ვარატასმა" მატჩის მიწურულს სამი ლელოს გატანა მოახერხა და ამით ანგარიში ფინალისთვის შესაფერისად აქცია. თუმცა ავსტრალიელთა შემართებამ ვერც ამ ჯერზე შეძლო ზელანდიელთა იმ უპირატესობის გაქარწყლება, რომლითაც ისინი უკანასკნელ ათწლეულში სარგებლობენ.

ერთადერთი, რაშიც „ვარატასმა" იმარჯვა, აუტები იყო, თუმც ყველა სხვა კომპონენტში მასპინძლებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე.

ავსტრალიელები გაუთავებლად და ერთფეროვნად ცდილობდნენ ფეხით თამაშს უაზრო გადაკიდებებმა ის შედეგი მოიტანა, რომ მეტოქე 35:6 გაიჭრა წინ, აქ კი იკადრეს სტუმრებმა და ბურთის დაჭერა გადაწყვიტეს, რამაც მალე გამოიღო ნაყოფი. „ქრუზეიდერსს" დაცვაში სუსტი წერტილები გამოუჩნდა და „ვარატასმაც" სწორედ ამით ისარგებლა.

ესეც კაპიტნები: ჭრის ვაითეკერი (9), რიჩი მაქკოუს შეჩერებას ცდილობს

სტადიონზე თავიდანვე განუმეორებელი ატმოსფერო სუფევდა. ცხენისნები, ფოიერვერკი და კოხტა „ჩეარლიდერი" გოგოები ტრიბუნაზე შეკრებილ მაყურებელს საზეიმო განწყობას უქმნიდნენ. ისე, მეტოქის რბევით გახარებულ გულშემატკივარს რაიმე დამატებითი სტიმული არც სჭირდებოდა საქმაგოდ. მათი გუნდი მოწინააღმდეგეს სახალისო ბურთაობით ამარცხებდა და ტრიბუნებზეც აღარავის ეპარებოდა წარმატებაში ეჭვი მანამ, სანამ „ვარატასმა" კლანჭები არ გამოაჩინა და მასპინძლების ქომაგებსაც ნერვიულობა დაეტყოთ.

თამაშის დაწყებიდანვე „ქრუზეიდერსის" უპირატესობა გამოიკვეთა, მაგრამ ანგარიში მაინც „ვარატასმა გახსნა". მეშვიდე წუთზე ჰიუეთმა საჯარიმო გაიტანა. კარტერის გამთანაბრებელს ჰიუეთმა მალევე კიდევ ერთი საჯარიმო დარტყმით უპასუხა და ისევ სტუმრები გაიჭრნენ წინ — 3:6.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ „ვარატასს" არც ამ ტაიმში ღირსებია წინ გასვლა და აღარც საერთოდ მატჩში. ავსტრალიელთა სიხარულს ჰამილტონის ლელომ მოუღო ბოლო. მართალია, ამჯერად კარტერმა გარდასახვა ვერ გაიტანა, მაგრამ ცოტა ხანში საჯარიმო დაარტყა ზუსტად და მასპინძლები თამაშის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ უკვე 11:6 იგებდნენ.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში „ქრუზეიდერსმა" უამრავი მომენტი შექმნა, თუმც სტუმრები თავს მარჯვედ იცავდნენ და ერთადერთი, რასაც ზელანდიელები გამორჩნენ, მაუგერის არეკნი გახლდათ. 14:6 მასპინძელთა სასარგებლოდ და გუნდები შესასვენებლად გავიდნენ.

მეორე ტაიმში მომხვდურებმა ბურთის დაჭერა სცადეს და გათამაშება დაიწყეს. როგორც ჩანს, ეს მწვრთნელის დარიგებამ განაპირობა, რადგანაც პირველ ნახევარში ამ ხერხს ნაკლებად მიმართავდნენ. ასეა თუ ისე, სტუმრებს არც ტაქტიკის შეცვლამ უშველა. „ქრუზეიდერსმა" ბურთი მოიხელთა და მალე კარტერს დეივ ჰივეტის ლელო გარდასახვა მოუწია.

შემდეგ „ჯეკარისანთა" 14 ნომერ რიკო გირს შეემთხვა უსიამოვნო ამბავი: მან ბურთი მეტ როჯერსს აცალა და მეტოქის ჩათლის მოედანზე შეინავარდა. სახეზე უკვე ღიმილიც კი დასთამაშებდა და ის იყო, ბურთი უნდა დაეშწებინა, რომ მორგან ტურინუომ უკნიდან წაუთაქა, ბურთიც გაგდებინა ხელიდან და რეკორდის დამყარების შესაძლებლობაც.

საქმე ისაა, რომ გირი გალელოვების შემთხვევაში ჯო როფის რეკორდს დაამხობდა, რომელსაც ერთ ზე-თორმეტულ სეზონში 15 ლელო აქვს გატანილი.

თამაში კვლავ მასპინძელთა უპირატესობით მიდიოდა, მეტოქის ნახევარზეც კი „ჯეკაროსნები" ბურთთან განშორებას არ ჩქარობდნენ. მათი მოწინააღმდეგე კი საპირისპიროს ცდილობდა. ზელანდიელთა ნახევარზე გადასვლისთანავე, ფეხით ათამაშდებოდნენ ხოლმე და ხშირად ხელსაყრელ მომენტებს უაზროდ უშვებდნენ ხელიდან.

მატჩის დამთავრებამდე 22 წუთით ადრე რობენ სრონმა იმ ერთადერთ რამეშიც კი აჯობა მეტოქეს, რაც მათ უკეთ გამოსდიოდათ ამ მატჩში. სრონმა „ვარატასის" აუტი მოიგო და ბურთი კაპიტანს, მაქკოუს შეარგო. მისგან ბურთი მარშალის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც მაუგერს მიართვა. ამ უკანასკნელმა გირს გაუკეთა ბრწყინვალე გადაცემა, რომელმაც თავის მხრივ მაკდონალდსს არ დაუგვიანა პასი. ესეც ადგა და ლელო გაიტანა, მიუხედავად იმისა, რომ მეტ როჯერსი მის შებოჭვას ალალად ცდილობდა. კარტერმა გარდასახა.

ანგარიში 28:6 გახდა, მაგრამ მასპინძლები ამაზე შეჩერებას არც აპირებდნენ და მალე თავისი წილი ლელო რალფმა გაიტანა. არც ამჯერად უმტყუნა მიზანმა კარტერს და 35:6.

მატჩის დამთავრებამდე თხუთმეტიოდე წუთი რჩებოდა. „ვარატასი" გააქტიურდა და როგორც იქნა, ლელოს გამორჩა. ვომ გუნდის მონაგარი 11 ქულამდე გაზარდა, როჯერსის გარდასახვამ კი 13-მდე. ეგებ ცოტათი დაანია კიდეც მასპინძლები მომხვდურთა გააქტიურებამ, რადგანაც მალე როჯერსმა თავისივე გატანილ ლელოს გაუკეთა რეალიზაცია და ანგარიში 35:20 გახდა.

თამაშს წერტილი იმავ როჯერსმა დაუსვა. შესანიშნავი დრიბლინგით ჯერ სამი „ჯეკაროსანი" ჩამოიცილა, შემდეგ კი არც მის შესაბოჭად შემართულ კარტერს შეუშინდა და გაილეღოვა. გარდასახვის დარტყმისას კი მიზანმა უმტყუნა. საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა — 35:25 „ქრუზეიდერსის" სასარგებლოდ.

მატჩის შემდგომ ერთი კითხვა გაჩნდა. რისი ბრალი იყო „ვარატასის" გააქტიურება ბოლო წუთებზე? იმისი, რომ მათ როგორც იქნა, მოახერხეს თავიდანვე არასწორად არჩეული ტაქტიკის შეცვლა, თუ იმისი, რომ მასპინძლები დიდი უპირატესობის გამო ბოლო მომენტში დროზე ადრე დამშვიდდნენ?

ალბათ ორივე მიზეზმა ითამაშა გარკვეული როლი. მატჩის შესახებ კი თავისი აზრი ორივე კაპიტანმა გამოთქვა.

რიჩი მაქკოუ („ქრუზეიდერსი") — „დიდებული სეზონი შესანიშნავმა წარმოდგენამ დაგვირგვინა. ვერ კიტყვი, რომ იოლი მატჩი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ, თავაწეულებმა დატოვონ აქაურობა. მე მესმის მათი. ბოლო წუთებში რამდენიმე ლელო გაიტანეს, შესანიშნავად იბურთავეს და ვერ მოიგეს. ეს დიდი იმედგაცრუებაა.

ჭრის ვაითეკერი („ვარატასი") — „ქრუზეიდერსი" დიდებული გუნდია, ჩვენ კი მატჩის პირველ ნახევარში ჭკვიანური თამაში გვაკლდა, რითაც მეტოქემ ისარგებლა და წინ გაიჭრა. მათ ასევე შესანიშნავად იციან, როგორ ააგონ კონტრშეტევებზე თამაში, რაც ბრწყინვალედ გამოიყენეს კიდეც.

ლადო ფულუკიძე

როლან გარროსი 2005

ქალები

28 მაისი. პირველი წრე

როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) 7:6, 7:5, 6:2; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — 6:4, 7:6, 6:7, 0:6, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) 6:4, 7:6, 6:3; **ვიქტორ პანესკუ** (რუმინეთი) — **ლუის ორნა** (პერუ) 6:3, 6:4, 6:4; **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) 6:4, 6:3, 6:2; **სებასტიან გროუანი** (საფრანგეთი) — **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) 6:1, 4:6, 3:6, 6:3, 6:4; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — **პიუნგ-ტაიკ ლი** (კორეა) — 6:3, 6:1, 7:5; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — **ფელიქს მანტილა** (ესპანეთი) — 6:4, 6:4, 6:3; **გილერმო კორია** (არგენტინა) — **იურგენ მელცერი** (ავსტრია) 6:1, 6:1, 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — **ტომი პაასი** (გერმანია) — 7:5, 6:0, 6:0; **ტომი როზრედო** (ესპანეთი) — **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) 6:4, 6:3, 6:1; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — 7:6, 7:5, 1:6, 7:6; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — 6:4, 7:6, 3:6, 6:4; **გილერმო კანიასი** (არგენტინა) — **პოლ-ანრი მეტიუ** (საფრანგეთი) 6:2, 7:6, 2:6, 6:7, 8:6; **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) 1:6, 6:3, 6:1, 6:4; **ხოსე აპასუსო** (არგენტინა) — **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — 3:0 (ვოლანდრიმ შეწყვიტა)

29 მაისი. მე-4 წრე

როჯერ ფედერერი — **კარლოს მოია** 6:1, 6:4, 6:3; **ვიქტორ პანესკუ** — **დავიდ ნალბანდიანი** — 6:3, 4:6, 5:7, 6:1, 6:2;

ქალები

28 მაისი. მე-3 წრე

ლინდსი დევენპორტი (აშშ) — **ვირჯინი რაცანო** (საფრანგეთი) 7:5, 4:6, 6:4; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — 6:4, 6:2; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — 7:6, 7:5; **პატი შნაიდერი** (შვეიცარია) — **ფლავია პენეტა** (იტალია) — 4:6, 6:0, 6:1; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — **აკიკო მორიგანი** (იაპონია) 6:3, 4:6, 6:3; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — **სილვია ფარინა ელია** (იტალია) — 7:5, 7:6; **სესილ კარატანჩევა** (ბულგარეთი) — **ვინუს უილიამსი** (აშშ) 6:3, 1:6, 6:1; **ემანუელ გალიარდი** (შვეიცარია) — **ემილი ლუა** (საფრანგეთი) — 4:6, 6:3, 6:3; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — **შაჰარ პეერი** (ისრაელი) 6:3, 6:1; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — 6:3, 7:5; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — **ანა-ლენა გრონფილდი** (გერმანია) 7:6, 7:5; **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი) — **ამელი მორესმო** (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — **მარისა ირვინი** (აშშ) 6:1, 2:6, 6:0; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (ბელგია) — **ა. მედინა გარიდესი** (ესპანეთი) — 4:6, 6:2, 6:3; **ნურია ლაგოსტერა ვივესი** (ესპანეთი) — **ნატალი დეში** (საფრანგეთი) 7:6, 6:2; **მარია შარაპოვა** (რუსეთი) — **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) 6:1, 6:4

29 მაისი. მე-4 წრე

ლინდსი დევენპორტი — **კიმ კლაისტერსი** 1:6, 7:5, 6:3; **მარი პირსი** — **პატი შნაიდერი** 6:1, 1:6, 6:4; **ელენა ლიხოვცევა** — **ელენა დემენტიევა** 7:6, 5:7, 7:5; **სესილ კარატანჩევა** — **ემანუელ გალიარდი** 7:5, 6:3; **ნადია პეტროვა** — **ელენა ბოვინა** 7:5, 3:6, 6:4

ხელბურთის კლუბი „სტუ-შევარდენი" თანაუგრძნობს გუნდის კაპიტან ვლადიმერ რუსიას ბაბუის შაძრო რუსიას გარდაცვალების გამო

ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეშვიდე ეტაპი

ალონსომ ტიტული გაინაღდა?!

კარგია, რომ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობა არ გაჯიუტდა და მალე გააუქმა თავისივე უხეირო საკვალიფიკაციო ფორმატი. შეგახსენებთ, წლევანდელი სეზონიდან რბოლის სტარტზე პილოტების ადგილი შაბათს და კვირას ორი საპოულე გასვლის ჯამური დროით განისაზღვრებოდა. ეს „რევოლუციური" სიახლე მონაწილეთა ბუნებრივ უკმაყოფილებას იწვევდა და რაკი ათივე გუნდის ბოს-პილოტობა ძველ სისტემას მისტიროდა, საერთო აზრის გათვალისწინებით საკვირაო გასვლა გაუქმდა და რბოლის სტარტზე მძღოლთა პოზიცია ამიერიდან ერთადერთი, საშაბათო გასვლით განისაზღვრება.

ისე, ვერც ამგვარი ვარიანტია საუკეთესო გამოსავალი, რადგან კვლავაც უდიდესია შემთხვევითობის როლი, ანუ უმცირესმა შეცდომამ შესაძლოა მძღოლს რამდენიმე საწყისი ადგილი დააკარგინოს. ამბობენ, ავტოფედერაცია ძველი, ოთხცდიანი კვალიფიკაციისკენ შემობრუნებას აპირებსო.

ასეა თუ ისე, შაბათს საკვალიფიკაციო საევროპულო პოზიცია ნიკ ჰაიდფელდმა მოიგო, საკმაოდ მოულოდნელად, თუმც ისიც იყო გასათვალისწინებელი, რომ რბოლის წინ ბოლიდში ნაკლები საწვავი ესხა.

მოკლედ, 28 წლის ჰაიდფელდმა 92-ეტაპიან კარიერაში პირველად მოიგო კვალიფიკაცია. ნიკმაც და მისმა თანაუილიამსელმა მარკ ვებერმაც ნიურბურგის ხუთკილომეტრიანი წრე შესანიშნავად გაიქროლეს, ეგაა, მათი უმჩატესი აჩქარება ნაკლებსაწვავიანი ტაქტიკით აიხსნებოდა, მიხაელ შუმახერის და რუბენს ბარიკელოს „ფერარები" კი გაცილებით მძიმე სავსე ავზების გამო ჩანდა. ერთი სიტყვით, რბოლა მეორე პოზიციაზე მდგომმა კიმი რაიკონენმა უსწრაფესად დაიწყო, დაძვრისთანავე გვერდი აუარა მეპოულე ჰაიდფელდს და ბარ-ელების დაბრუნების შედეგად ოცბოლიდიან ქარავანს თავში მოექცა.



პირველივე მოსახვევში მოხდა შეხლა-შემოხლა, რის შედეგადაც ოთხი მანქანა, მათ შორის შუმახერის „ფერარი", ტრასას გადაცდა და ტემპი დაკარგა. საწყის მეათედან მიხაელი მე-14 პოზიციაზე ჩამოქვეითდა, თუმც ბრძოლა ცხადია, ენერგიულად გაგრძელდა და მალე ვითარებაც გაუმჯობესა. ეგაა, ჰოდიუმამდე მიღწევა ვერ შეძლო.





AFP ნიურბურგიდან

ფერნანდო ალონსომ წლეულს მეოთხედ მოიგო, მიხაელ შუმახერი კი ისევ უპოდიუმოდ დარჩა

რაიკონენმა ორივე საბენზინო შეყოვნების შემდეგ მეწინავეობა არავის დაუთმო და შემთხვევითობა რომ არა, ზედიზედ მესამე დიდ პრიზს დაისაკუთრებდა, მაგრამ „მიშლენის" საბურავმა უმტყუნა და ბრძოლის მიწურულს ბორბალს მოულოდნელად ვიბრაცია დაეწყო. ალონსომ ცხადია იხეირა ვითარებით და უზარმაზარი ჩამორჩენა მალე ორ წამამდე შეამცირა.„ყინულის კაცმა" კიმიმ ბოლომდე მოცდა გადაწყვიტა, მაგრამ უკანასკნელ წრეზე ბორბლის ღერძი მოტყდა, „მაკლარენი" ტრეკიდან გავარდა და საბედნიეროდ, ისე რომ გვერდით მყოფ ტაკუმა სატოს „ბარს" არ შეხებია, უმძიმეს ავარიას გადაურჩა. რაიკონენი სამწუხაროდ, „ნიურბურგრინგზე" უქულოდ დარჩა და საერთო ჩათვლაში ფერნანდო ალონსოსთან შეჯიბრების შანსი დაკარგა. ფერნანდომ შემთხვევითი მოგებით საერთო ჩათვლაში ლიდერობა უფრო განიმტკიცა და ლამის ჩემპიონობაც უკვე გაინაღდა.

ნანდო სადღეისოდ შთამბეჭდავი, 32-ქულიანი სხვაობით უსწრებს რაიკონენს და იარნო ტრულის, ხოლო შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი დაწინაურებულს 43(!) ქულით ჩამორჩება. „წითელი ბარონისთვის" სეზონი ახლა, ცხადია, დამთავრდა, თუმც მისი ამხელა პასივის მიუხედავად, ავტოფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბერნი ეკლსტოუნი შეეძლო ჩაიფ[illegible], რას მაინც არ ჩქარობს [illegible]ელს, ყველაფრის მიუხედავად, [illegible] ჩემპიონი შანსი კიდევ აქვს, თუმც დიდი მნიშვნელობა არა აქვს ამას. ეს მოხდება თუ არა [illegible] „ფერარი" და მიხაელი გამუდმებით იგებს, ეს ფორმულისო�sა [illegible] ასევე ცუდია მაშინაც, [illegible] ფერარელები [illegible] მოთხოვნაში გამოდის, [illegible] „ალონსოები" [illegible] ფერარში უნდა იყვნენ.

რაღა დავკრძალეთ, [illegible] ხაოქმელი ერეკობა [illegible] კელის და მიხაელის [illegible] ხუთე ადგილებმა [illegible] ვჭვება, ფერნანდო ალონსო [illegible] ყარეს ლიდერობას [illegible] უყოს.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

ევროპის დიდი პრიზი
29 მაისი. ნიურბურგი
დისტანცია 59 წრე — 303,715 კმ

1.	(6)	ალონსო (რენო)	1:31:46,648 (198,6 კმ/სთ)	
2.	(1)	ჰაიდფელდი (უილიამსი)	ჩამორჩა	16,6
3.	(7)	ბარიკელო (ფერარი)		18,6
4.	(12)	კულპარდი (რედ ბული)		31,6
5.	(10)	მ.შუმახერი (ფერარი)		50,4
6.	(9)	ფიზიკელა (რენო)		52,0
7.	(5)	მონტოია (მაკლარენი)		58,2
8.	(4)	ტრული (ტოიოტა)		1:11,1
9.	(14)	ლიუკი (რედ ბული)		1:11,5
10.	(13)	ბატონი (B.A.R)		1:35,8
11.	(2)	რაიკონენი (მაკლარენი)	1 წრით	
12.	(16)	სატო (B.A.R)	1 წრით	
13.	(15)	ვილნევი (ზაუბერი)	1 წრით	
14.	(11)	მასა (ზაუბერი)	1 წრით	
15.	(17)	მონტეიერო (ჯორდანი)	1 წრით	
16.	(19)	კარტიკეიანი (ჯორდანი)	1 წრით	
17.	(20)	ალბერსი (მინარდი)	2 წრით	
18.	(18)	ფრიზაჩერი (მინარდი)	3 წრით	

რბოლას გამოეთიშნენ

(8)	რ.შუმახერი (ტოიოტა)	გაიარა 34 წრე	
(3)	კუბერი (უილიამსი)	0	

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
ჰაიდფელდი — 1:30,081 (205,7 კმ/სთ)

საუკეთესო წრე
ალონსო — 1:30,711 (204,3 კმ/სთ)

	ავსტრალია 6 მარტი	მალაიზია 20 მარტი	ბაჰრეინი 3 აპრილი	სან მარინო 24 აპრილი	ესპანეთი 8 მაისი	მონაკო 22 მაისი	ევროპა 29 მაისი	კანადა 12 ივნისი	აშშ 19 ივნისი	საფრანგეთი 3 ივლისი	დ.ბრიტანეთი 10 ივლისი	გერმანია 24 ივლისი	უნგრეთი 31 ივლისი	თურქეთი 21 აგვისტო	იტალია 4 სექტემბერი	belgium 11 სექტემბერი	ბრაზილია 25 სექტემბერი	იაპონია 9 ოქტომბერი	ჩინეთი 16 ოქტომბერი	ჯამი
1 ალონსო, რენო, ესპანეთი	6	10	10	10	8	5	10													49
2 რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი	1	–	6	–	10	10	–													27
3 ტრული, ტოიოტა, იტალია	–	8	8	4	6	–	1													27
4 ჰაიდფელდი, უილიამსი, გერმანია	–	6	–	3	–	8	8													25
5 ვებერი, უილიამსი, ავსტრალია	4	–	3	2	3	6	–													18
6 ფიზიკელა, რენო, იტალია	10	–	–	–	4	–	3													17
7 რ. შუმახერი, ტოიოტა, გერმანია	–	4	5	–	5	3	–													17
8 მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია	–	2	–	8	–	2	4													16
9 მონტოია, მაკლარენი, კოლუმბია	3	5			2	4	2													16
10 კულპარდი, რედ ბული, დ.ბრიტანეთი	5	3	1	–	1	–	5													10
ბარიკელო — 15, ვურცი (მაკლარენი)— 6, ვილნევი — 5, დე ლა როსა (მაკლარენი) — 4, კლიენი (რედ ბული) — 3, მასა — 2, ლიუკი —1 ქულა																				
1 რენო	16	10	10	10	12	5	13													76
2 მაკლარენი	4	5	10	6	12	14	2													53
3 ტოიოტა	–	12	13	4	11	3	1													44
4 უილიამსი	4	6	3	5	3	14	8													43
5 ფერარი	8	2	–	8	–	3	10													31
რედ ბული — 19, ზაუბერი — 7 ქულა																				

AFP პარიზიდან



როლან გაროსზე და სხვაგან

„როლან გაროსზე“ მზეა და თავის დასაცავად ტურნირის პროგრამაც გამოდგება. ამ სიცხეში კი ფოტორეპორტიორს მსაჯის გაშლილ ფეხებს შუა დაულანდავს ჩაწოდების მისაღებად გამზადებული ლინდსი დევენპორტი. ლინდსი საერთოდაც ახოვანი გოგოა. გრაციოზული ანა კურნიკოვა კი სულ სხვაგანაა, საღლაბუცო ჩოგბურთში ჩაბმულა ჩრდილო კაროლინაში, სადაც „რეის ფესტ ტენის ექსტრავაგანზა“ მიმდინარეობს.

AFP პარიზიდან



AFP კონკორდიდან

AFP რომიდან

არამისი წახდა

ეს ფარსაგი მოუვიდა მხედარ ნატალი კაუდინის. მისი ცხენი „ლორო პიანა არამისი“ 2,2 მეტრიან თეჯირს ვერ გადაეკლო და ორივენი გვარიანად დაზარალდნენ. ამბავი კი რომის პიაცა დი სიენას 73-ე საცხენოსნო შეჯიბრებებზე მოხდა.



AFP რომიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმშერიკა, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კვლიურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge